# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№147 (9978) 2025 წლის 3 ნოემბერი, ორშაბათი




ილიას მაინც დავუჯეროთ!

## დიდი რუსეთის გარეშე არ არის ხსნა საქართველოსა და ქართველებისათვის!..

...დიახ, დიდი რუსეთის გარეშე დღესაც არ არის ხსნა ბედკრული საქართველოსთვის, რადგან დიდი ილიას „ბედნიერი ერის“ დღევანდელმა თაობამ, 1989 წლიდან მოყოლებული, ვითარცა თოთო ბავშვი, ახალშობილი ქართული დემოკრატია ეროვნულ-გამათავისუფლებელი „ქარიშხლის“ დღემდე დაუმთავრებელ სტიქიას გადააყოლა და პოლიტიკური უმაღურობის კლასიკური ნიმუში გვიჩვენა!

ომარ მარგველაშვილი.

იხ. 6-7 გვ.

## ბრძოლა მიცვალებულთა წინააღმდეგ




ნაცმოძრაობის შემდგომი „მოღვაწეობა“ ხელისუფლებაშიც და ოპოზიციურ ველზეც არაფერია სასიკვდილოდ განწირული ქვეწარმავლის უიმედო ფართხალის გარდა.

იხ. 2-3 გვ.

მედიცინა და აკადემია




4

## არტერიული ჰიპერტენზია – საუკუნის მთავარი პათოლოგია



5

## აბესალომ ვეკუა – მახვილი თვალის მქონე პალეონტოლოგი

## გილოცავთ, გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიის ლაურეატებო!

5

ანონსი

## პუტინი ახალ ბირთვულ იარაღს აჟღარუნებს!




ახალი რუსული სამხედრო ტექნიკიდან მომდინარე ბირთვული დასნეზოვნების საფრთხემ ევროპელი ლიდერები თავისთავად უნდა განაწყოს სამოქმედოდ. „არ გამოვრიცხოთ, რომ პუტინის მოქმედება „ჭკუიდან შეშლილის“ ერთგვარ სტრატეგიას წარმოადგენს“, – „მაგალითად, ასეთს: თქვენ იწყებთ „განკითხვის დღის“ იარაღის შექმნას და მის გამოცდას, ამით ქმნით შთაბეჭდილებას, რომ მას აუცილებლად გამოიყენებთ“...


ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

# ბრძოლა მიცვალებულთა წინააღმდეგ

**არაფერი ახალი და მოულოდნელი — საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების თითქმის ყველა მეტნაკლებად ცნობილი წარმომადგენლისა და მხარდამჭერისგან კიდევ ერთხელ მოვისმინეთ განცხადებები, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი იქნება დასაბუთებული სარჩელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, გვარამიას „ახალის“ და ხაზარაძე-ჯაფარიძის „ლელოს“ აკრძალვის მოთხოვნით.**

ბუნებრივია, ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას ჰყავს მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც. სწორედ ამ უკანასკნელთა გასაგონად კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, **„დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან, რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.“**

ახლა ისიც ვნახოთ, რას ფიქრობენ ამის თაობაზე ჩვენი სანუკვარი ევროპელი მეგობრები.

**ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2002 წლის რეზოლუციით** („ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში პოლიტიკური პარტიების შეზღუდვის შესახებ“), პოლიტიკური პარტიის გაუქმება ან მის რეგისტრაციაზე უარის თქმა, შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ საფრთხე ექმნება პოლიტიკურ პლურალიზმსა და ფუძემდებლურ დემოკრატიულ პრინციპებს; თუ **პარტია იყენებს ძალადობას ან საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ მშვიდობასა და დემოკრატიულ წყობას;** აშკარად ეწინააღმდეგება ქვეყანაში არსებულ კონსტიტუციურ წესრიგსა და იმ პროცედურებს, რითაც უზრუნველყოფილია სამართლიანი სასამართლოს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი გარანტიები.

ამავე დროს, **პარტიას არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მისი წევრების იმ ქმედებებისთვის, რაც ეწინააღმდეგება პარტიის წესდებასა და მის საქმიანობას.**

ისიც უნდა ითქვას, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც დემოკრატიის, კონსტიტუციური წყობილებისა თუ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური პარტიები პასუხისმგებლობისგან თავის ასარიდებლად თავს იკავებენ მათი ჭეშმარიტი მიზნების ოფიციალურ დოკუმენტებში გადატანისგან. შესაბამისად, ევროპული სამართალი დასაშვებად მიიჩნევს პოლიტიკური პარტიის გაუქმებას არა მხოლოდ ოფიციალურ დოკუმენტებში გამოხატული პოზიციების, არამედ მის ლიდერთა მიერ გაკეთებული განცხადებებისა და განხორციელებული ქმედებების საფუძველზეც.

მოკლედ, ევროპული სამართლის თანახმად, პოლიტიკური პარტიის კანონიერი გაუქმებისთვის აუცილებელია დასაბუთდეს, რომ გაუქმების საფუძვლად მოაზრებული ქმედებები მომდინარეობდა პარტიის მმართველი ორგანოებისგან და არა პარტიის რიგითი წევრების ან მხარდამჭერებისგან.

თუ ცოტა კიდევ უფრო დავწვრილმანდებით, **ქართული და ევროპული სასამართლოებისთვის მთავარია, რას ბრძანებენ თვით გია ბარამიძის მიერ მარადიულ პრე-**




**ზიდენტად შერაცხილი სააკაშვილი, მისი კარიკატურული ასლი ბოკუჩავა, მეორე მარადიული პრეზიდენტი ზურაბიშვილი, პრეზიდენტობაზე მეოცნებე გვარამია, ან (პარლამენტის კარში) ლელოს გატანის იმედით მოსულდგმულე ხაზარაძე-ჯაფარიძე.**

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს მიერ რომელიმე პოლიტიკური პარტიის აკრძალვა-ლეგალიზებისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს თვით ხაზეიშვილის მქუხარე გამოსვლებს, ან რუსთაველის პროსპექტზე ევროდროშების მოფრიალე და უკანალების გამომწვევად მოთამაშე ლამაზმანების სიტყვას და საქციელს — ისინი ამისთვის კანონის წინაშე პასუხს აგებენ პერსონალურად.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ გარედან მიღებული კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესრულებისთვის (სამართალდამცველების ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაუმორჩილებლობა, ქუჩების გადაკეტვა, ადმინისტრაციულ შენობებში შეჭრის მცდელობა, კერძო საკუთრების დაზიანება...) პასუხს აგებენ როგორც უშუალო შემსრულებლები, ისე მათი პარტიები.

ეს ისე, როგორც ჩვენი დაუძინებელი მტერი რუსები ამბობენ, „ინფორმაცია გააზრებისთვის“ გაუთავებლად მორბენალ-მომიტინგე პატრიოტების გასაგონად.

დავუბრუნდეთ ხელისუფლების განცხადებას ქართული პოლიტიკური პარტიების გაუქმებაზე. შეგახსენებთ, საუბარი ეხება „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის ორ სატელიტს (აბა, წრუწუნობას ხომ ვერ ვაკადრებ!) — გვარამიას „ახალს“ და ხაზარაძე-ჯაფარიძის „ლელოს“.

როგორც სააკაშვილის ნაცმოძრაობის „ისტორიული ოპონენტი“ (პოლიტიკურ სარბიელზე მისი გამოჩენის პირველივე წუთიდან), დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი ქვეყანას უფსკრულისკენ გააქანებდა და ამის შესახებ 2004 წლიდან მოყოლებული ვწერდი კიდეც. ეს სულაც არ იყო ძნელი გამოსაცნობი. ამას დავუმატოთ, რომ საკმაოდ კარგად ვიცნობდი სააკაშვილის (უფრო ზუსტად, გიული ალასანიას) ყოვლის მკადრებელ ოჯახს. მაშინაც

**ნაცმოძრაობის შემდგომი „მოღვაწეობა“ ხელისუფლებაშიც და ოპოზიციურ ველზეც არაფერია სასიკვდილოდ განწირული ქვეწარმავლის უიმედო ფართხალის გარდა.**

დარწმუნებული ვიყავი, რომ სააკაშვილის და მისი კლანის უკან იდგა ბოროტი რუსულ-დასავლური ძალა, რომელიც საქართველოს ნათელი მომავლისთვის კი არა, საქართველოს „ჭიბეში ჩასადებად“ იღვწოდა. **და თუ მან ამას ვერ მიაღწია და დღეს საქართველო მსოფლიო ასპარეზზე მეტნაკლებად ანგარიშგასაწევი ქვეყანაა, ამას დღევანდელ ხელისუფლებას და მის ლიდერ ბიძინა ივანიშვილს უნდა ვუმადლოდეთ.**

ამით იმის თქმა მინდოდა, რომ მე, მარადიულად უპარტიო ჟურნალისტი თეიმურაზ ქორიძე, არ ვყოფილვარ და არ ვარ მოქმედი ხელისუფლების ოპონენტი. პირიქით — ვცდილობ, ვიყო მისი მხარდამჭერი.

სწორედ მისდამი მხარდაჭერის სურვილი მათქმევინებს, რომ ჩემი მოკრძალებული აზრით, **ხელისუფლების გადაწყვეტილება „ნაცმოძრაობის“ აკრძალვა-გასამართლების შესახებ, ვფიქრობ, არის მცდარი.**

მოდი, ვიფიქროთ, კერძოდ, რა შეიძლება იყოს ნაცების აკრძალვის უმთავრესი მიზანი.

**ა) ისტორიული სამართლიანობის აღდგენა.**

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ჩემი ღრმა რწმენით, „მშობლიური“ ნაცმოძრაობის გასამართლების აუცილებლობისთვის ჯერ კიდევ 1945-1946 წლებში გერმანული ნაციონალ-სოციალისტური პარტიის (ჰიტლერული ნაციზმის) გასამართლების პრეცედენტი ვერ გამოდგება. თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო ვერ გამოდგება, რომ გერმანული ნაციზმი გასამართლდა კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის და იგი გაასამართლა საერთაშორისო სასამართლომ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი ჩემი პატივისცემის მიუხედავად, მისი და საერთაშორისო სასამართლოს ერთ კონტექსტში განხილვა არა მგონია, მთლად კორექტული იყოს. მაინცდამაინც კორექტულად არც ჰიტლერის, ჰიმლერის თუ გერინგის სააკაშვილთან, მერაბიშვილთან და ბარამიძესთან გაიგივება გამოიყურება.

**რაც მთავარია, ქართველი ნაცბელადების უმრავლესობა სააკაშვილის თამადობით უკვე გასამართლებულია. ხოლო, ხაზეიშვილის, წითლიძის, ნატა ფერაძისა და მისნაირთა გასამართლება მათი გონებრივი სიჩლუნგის გამო, სამართლებრივი თვალსაზრისით, უბრალოდ, გაუმართლებელია.**

**ბ) დამნაშავისთვის დამსახურებული სასჯელის მიკუთვნება.**

უბრალო ჭეშმარიტებაა — დამნაშავე უნდა დაისაჯოს! და ეს ჭეშმარიტება, ბუნებრივია, ნაცმოძრაობაზეც ვრცელდება. თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, მთავარი ნაცები უკვე დასჯილია. ხოლო ნაცხროვისა და მიშმაღმერთებელთა დასჯა იმის გამო, შტერები რატომ ხართო, სამართლებრივი თვალსაზრისით მაინცდამაიმც კორექტულად არ გამოიყურება.

**გ) დანაპირების ასრულება.**

უფრო სწორად, აუსრულებლობა უნდა მეთქვა. ცამეტი წელი საკმაოდ დიდი დროა, მაგრამ არც იმდენი, საქართველოს მოქალაქეებისთვის „ოცნების“ ერთი მთავარი დაპირება რომ დაევიწყებინა — ჩვენ სათანადოდ მივუზღავთ ნაცური რეპრესიების ორგანიზატორებს და შემსრულებლებს. დიახ, ბევრი უკვე დასჯილია, მაგრამ „ოცნების“ ხელისუფლებამ ბევრი ობიექტური მიზეზის გამო, ძალიან ბევრი ნაცდამნაშავის დასჯა დღემდე ვერ მოახერხა. ამის მკაფიო მაგალითია მეგობარი უკრაინა — ჩვენგან რომ ყველაფერს ითხოვს, საქართველო და ქართველი ხალხი ფეხებზე რომ ჰკიდია და ქართველ ნაცკრიმინალებს უმაღლეს ადმინისტრაციულ თანამდებობებზე ანაწილებს.

**დ) ისტორიული პრეცედენტის შექმნა.**

ნაცმოძრაობის, როგორც პოლიტიკური პარტიის გასამართლება, რაოდენ სამართლიანიც არ უნდა იყოს, ამავე დროს არის მომავალი პოლიტიკური ოპონენტების შეუნიღბავი გაფრთხილება — არ გადახვიდეთ საზღვრებს, ეს საშიშია თქვენი ჯანმრთელობისა და პოლიტიკური მოღვაწეობისთვის! არ ვამტკიცებ, რომ ეს კეთდება მომავალი პოლიტიკური ოპონენტების დასაშინებლად — უბრალოდ, ფაქტს ავღნიშნავ. სამართლიანობისთვის ბარემ იმასაც დავუმატებ, რომ სავსებით შესაძლებელია, ამგვარი პრეცედენტის შექმნა, ხვალ მართლაც სასარგებლო აღმოჩნდეს სერიოზული ოპოზიციური პარტიების საქმიანობისთვის.

**ვ) თავის მართლება ქართველი მომხრეების წინაშე.**

იქნებ ვცდები და ამისთვის კიდევ ერთხელ მოვიხდი ბოდიშს მმართველი პარტიის წინაშე. მეჩვენება, რომ მმართველი პარტიის ეს გადაწყვეტილება ძალიან ჰგავს დაგვიანებულ თავის მართლებას საკუთარი ალალი მხარდამჭერების (ქართველ ამომრჩეველთა უდიდესი უმრავლესობის) წინაშე. არადა, თავის მართლება არაფერ შუაშია — თავის დროზე, „ქართულმა ოცნებამ“ მართლაც გადაარჩინა ქვეყანა და ქართველი ხალხი უფსკრულში გადაჩეხვისგან. მას შემდეგაც ბევრი კარგი რამ გააკეთა. სხვა საქმეა, რომ წმინდა პროპაგანდისტული თვალსაზრისით, მისი

მცდელობა საკუთარი ნაკეთები საქმეების წარმოჩენა-რეკლამირებისა და საზოგადოებამდე უდანაკარგოდ მიტანისთვის, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ახლა ამ საკმაოდ ფაქიზ თემაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მაგრამ თუ ოდესმე ხელისუფლება ჩემი და, საერთოდ, მედიასპეციალისტების აზრით დაინტერესდება, ურიგო ნამდვილად არ იქნება.

ზ) გრანწი ნაცების უცხოელ მფარველებს და დამფინანსებლებს.

**როგორც ჩვენი მეგობარი ევროპელი ფილოსოფოსები ბრძანებენ, გულახდილობა არ ალამაზებს ადამიანს. მაგრამ სჯობს ვენდოთ თავად ევროპელი ინტელექტუალების მიერ მსოფლიოს უპირველეს მწერლად აღიარებულ შოთა რუსთაველს, ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასაო, რომ ბრძანებს: ბევრ სხვა რამესთან ერთად, ნაცების გასამართლება იქნება ქართული ხელისუფლების ბრანწი ამ თვითმარქვია ოპოზიციის ყოვლისშემძლე უცხოელი მფარველ-დამფინანსებლებისადმი. ვგულისხმობ სწორედ იმ ქვეყნებს, კომპანიებს, ფირმებსა თუ კერძო პირებს, ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნის ჯიბეში ჩადებას და ამ მიზნით, კოლექტიური ნაცის გამოყენებას რომ ცდილობენ.**

* * *

**უნდათ თუ არა, მოსწონთ თუ არა დღევანდელ ძალად ოპოზიციონერებს და მათ შინაურ თუ გარეულ მფარველ-მხარდამჭერებს, წმინდა ისტორიული თვალსაზრისით, სააკაშვილის „ნაცმოძრაობა“, როგორც პოლიტიკური პარტია, ჯერ კიდევ 2008 წელს გარდაიცვალა. ათი ათასობით ადამიანის მონაწილეობით დაკრძალვის ცერემონიალიც გაიმართა. დიახ, სწორად მიმიხვდით, ვგულისხმობ გრანდიოზულ ძალადობრივ ზეიმს რუსეთთან სამდღიან ომში სამარცხვინო დამარცხების შემდეგ.**

ნაცმოძრაობის შემდგომი „მოღვაწეობა“ ხელისუფლებაშიც და ოპოზიციურ ველზეც არაფერია სასიკვდილოდ განწირული ქვეწარმავლის უიმედო ფართხალის გარდა.

ამის დასტურია ნაცნაფლეთებისგან ათზე მეტი კარიკატურული დამოუკიდებელი „პოლიტიკური პარტიის“ შექმნაც.

შემიძლია ასპროცენტიანი ალბათობით ვივარაუდო, რომ ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას „უსამართლოდ ჩაგრულის“ მანტია მოსხმული ნაცპარტია საკუთარი აღორძინების, ყოველ შემთხვევაში, აღორძინების მცდელობისთვის გამოიყენებს.

ზუსტად იგივეს გააკეთებს საერთაშორისო არენაზე თავის მართლებისა და, შესაბამისად, ახალი დაფინანსების მოპოვებისთვის.

შეუძლებელია, ამაზე ხელისუფლებას არ ეფიქროს. რადგან მაინც ასეთ გადაწყვეტილებამდე მივიდა, ეს ნიშნავს, რომ არსებობს რაღაც ერთობ მნიშვნელოვანი არგუმენტი, რაც ყველა ჩემ მიერ ზემოთ მოშველიებულ მტკიცებულებას გადაფარავს და ჩემთვის – საქართველოს რიგითი მოქალაქისთვის, უცნობია. თუ ასეა, ხელისუფლებამ მე, მის ალალ მხარდამჭერს უნდა მიმანიშნოს მაინც მის არსებობაზე და დამპირდეს, რომ ადრე თუ გვიან მის ამ საიდუმლოს უთუოდ გამანდობს.



**თეიმურაზ ქორიძე**

30. 10. 2025



შალვა პაპუაშვილი:

# აშკარა მტრობის გამო საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია ევრონესტის შემდეგ სესიებში მონაწილეობას არ მიიღებს

**კატეგორიულად მიუღებელია, როდესაც ევრონესტი უგულებელყოფს საქართველოს მოსახლეობის ნებას და საკუთარი შეხედულებისამებრ აუქმებს მისი წევრი ქვეყნის არჩევნებს და დემოკრატიულ ინსტიტუტებს,** – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის განცხადებაშია აღნიშნული.

**„საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეამ, რომელშიც არ მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაცია, მიიღო რამდენიმე რეზოლუცია. ტრადიციისამებრ, აღნიშნულ დოკუმენტებში მოცემული უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის შემდგომი განვითარების, ასევე, მის წევრ სახელმწიფოებს შორის დიალოგისა და პარტნიორობის ხელშეწყობის ხედვები.**

**საქართველოსადმი მტრული, უსამართლო და პოლიტიკურად მიკერძოებული პოზიციებით ცნობილმა ზოგიერთმა ევროპარლამენტარმა რეზოლუციის ტექსტებში დაამატა ისეთი ჩანაწერები, რაც ყოვლად მიუღებელი და აღმაშფოთებელია ქართული საზოგადოებისთვის. მათ შორის, ერთ-ერთი რეზოლუცია 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს – „გაყალბებულად“, ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას კი „თვითგამოცხადებულად“ მოიხსენიებს. აგრეთვე, პოლიციელებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებზე თავმდამსხმელ პირებს, რომელთა მიმართაც დამდგარია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენები, „პოლიტიკურ პატიმრებს“ უწოდებს, რითიც სრულად უგულებელყოფს კანონის უზენაესობის სტანდარტებს.**

**ნათელია, რომ ევროპარლამენტმა ევრონესტის პლატფორმა გადააქცია მეზობელ ქვეყნებზე შანტაჟის, საკუთარი ვიწროპოლიტიკური დღის წესრიგის იძულებით თავს მოხვევის იარაღად. კატეგორიულად მიუღებელია, როდესაც ევრონესტი უგულებელყოფს საქართველოს მოსახლეობის ნებას და ამ გზით, დამფუძნებელი მანდატის მიღმა, საკუთარი შეხედულებისამებრ აუქმებს მისი წევრი ქვეყნის არჩევნებს და დემოკრატიულ ინსტიტუტებს.**

**შესაბამისად, ევროპარლამენტის ამ ძალების მხრიდან მტრული და ვიწროპოლიტიკური მიდგომების გათვალისწინებით, საქართველოს მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაცია მონაწილეობას არ მიიღებს ევრონესტის შემდგომ სესიებში“,** – აღნიშნულია განცხადებაში.

ამასთან, განცხადების თანახმად, პაპუაშვილი მოუწოდებს ევროპარლამენტს, უარი თქვას ვიწროპოლიტიკურ დღის წესრიგზე და პატივი სცეს წესებზე დაფუძნებულ საერთაშორისო წესრიგს.

**„ჩვენ კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ევროპარლამენტს, უარი თქვას ვიწროპოლიტიკურ დღის წესრიგზე და პატივი სცეს წესებზე დაფუძნებულ საერთაშორისო წესრიგს. მისი დღევანდელი ანტიდემოკრატიული მიდგომები არის პირდაპირი გზა ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის თვითიზოლაციისა და მარგინალიზაციისკენ.**

**საქართველოს ყოველთვის კონსტრუქციული, ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაში. ევროპარლამენტის მხრიდან კონსტრუქციული დიალოგისთვის შესაბამისი პირობების გაჩენის შემთხვევაში საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია მზად იქნება, ხელახლა ჩაერთოს აღმოსავლეთ პარტნიორობის აღნიშნულ საპარლამენტო პლატფორმაში“,** – ნათქვამია განცხადებაში.

# შემოსავლების სამსახურის უფროსის ყოფილმა მოადგილემ ვლადიმერ ხუნდაძემ თურქეთში გაასწრო!



## მას პატიმრობა დაუსწრებლად შეეფარდა

**ყოფილ მაღალჩინოსანს ვლადიმერ ხუნდაძეს, რომელიც სამსახურეობრივი უფლებამოსილების გოროტად გამოყენების ფაქტზე არის ბრალდებული, სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.**

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე **ირაკლი შვანგირაძემ ვლადიმერ ხუნდაძეს** პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდა. ადვოკატის ინფორმაციით, ბრალდებული საქართველოში არ იმყოფება. ადვოკატი **ზურაბ ტაბიძე** „ინტერპრესნიუსთან“ აცხადებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო, რომელსაც გაასაჩივრებს. მისი თქმით, ვლადიმერ ხუნდაძე მკურნალობის მიზნით თურქეთში დაახლოებით 15-20 დღის წინ წავიდა და საზღვარი ისე გადაკვეთა, რომ არანაირი პრობლემა არ შეჰქმნია. ადვოკატის თქმით, ხუნდაძემ არც ის იცოდა, რომ მას ბრალი უნდა წარდგენოდა.

ადვოკატის თქმით, ვლადიმერ ხუნდაძეს ჯანმრთელობის მდგომარეობა ისეთ ფაზაშია, რომ 3 ნოემბერს ოპერაცია უნდა გაიკეთოს, შესაბამისად, ადვოკატი ფიქრობს, რომ ბრალდებული მასთან კომუნიკაციას, სავარაუდოდ, ჯერ ვერ შეძლებს.

შეგახსენებთ, საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ შემოსავლების სამსახურის უფროსის ყოფილ მოადგილეს ვლადიმერ ხუნდაძეს, პირადი ნაცნობობა აკავშირებდა ბორის გოგიჩაიშვილთან, რომელიც თანამზრახველებთან ერთად ქალაქ გორში უცხოური ბრენდების სასაქონლო ნიშნის გამოყენებით უკანონოდ ახორციელებდა ალკოჰოლური სასმელების – ვისკისა და არყის დამზადებასა და შენახვას.

**პროკურატურის ცნობით, ალკოჰოლური სასმელების დასამზადებლად საჭირო სხვადასხვა პროდუქციის საქართველოში უსაფრთხოდ შემოსატანად ბ.გოგიჩაიშვილმა დასახმარებლად მიმართა ვლადიმერ ხუნდაძეს, რომლის სამსახურებრივ უფლებამოსილებასაც საბაჟო პროცედურების კონტროლი და ზედამხედველობა წარმოადგენდა. ვლადიმერ ხუნდაძე ბორის გოგიჩაიშვილს მუდმივად აძლევდა მითითებებს პროდუქციის შემოტანისა და განბაჟების სათანადო დროის შესახებ, ასევე უთითებდა თუ რა შინაარსით უნდა მომხდარიყო პროდუქციის განბაჟება, რათა საბაჟო პროცედურების გავლის დროს საფრთხე არ შეჰქმნოდათ.**

# თბილისის მერიის ინსპექტირების, შრომის უსაფრთხოების ორგანიზებისა და მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი თაღლითობისთვის დააკავეს

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, საქართველოს პროკურატურასთან კოორდინაციით, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თაღლითობის მცდელობის ფაქტზე, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინსპექტირების, შრომის უსაფრთხოების ორგანიზებისა და მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი მ.გ. დააკავეს,** – ინფორმაციას ამის შესახებ საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მოქალაქეს დაჰპირდა თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1000 კვ/მ მიწის ნაკვეთის დარეგისტრირებას, რაშიც მოსთხოვა და გამართვა 16 000 აშშ დოლარი, რა დროსაც მოხდა მისი დაკავება.

**„გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 180-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით. საქმეზე აქტიურად გრძელდება გამოძიება დანაშაულში თანამონაწილე სხვა პირთა დადგენისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით“,** – ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის გავრცელებულ ინფორმაციაში.

# არტერიული ჰიპერტენზია – საუკუნის მთავარი პათოლოგია



ბეჟან წინამძღვრიშვილი

**მაღალი არტერიული წნევა დიდად გავრცელებული სენია და სწორედ ამ ვერაგ დაავადებასთან გამკლავების აქტუალური საკითხების განხილვას მიეძღვნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამედიცინო-ბიოლოგიური საბჭოს ახლახან გამართული სხდომა. საბჭოს წევრთა და სამედიცინო საზოგადოების დამსწრე წარმომადგენელთა წინაშე, მოხსენებით „ესენციური ჰიპერტენზიის პრობლემა საქართველოში“, გამოვიდა საქართველოს ჰიპერტენზიის შემსწავლელი საზოგადოების პრეზიდენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგან დაავადებათა პროპედევტიკის კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბეჟან წინამძღვრიშვილი.**



რამაზ ხეცურიანი

**არტერიული ჰიპერტენზია სიკვდილიანობის ძირითად და ინვალიდობის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს მსოფლიოში. გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების იერარქიაში, არტერიულ ჰიპერტენზიას წამყვანი ადგილი უკავია.**

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ჰიპერტენზიის პრევალენტობისა და ინციდენტობის მაჩვენებელს საქართველოში ზრდის ტენდენცია აქვს. აღსანიშნავია ისიც, რომ გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა ზოგად სტრუქტურაში, ჰიპერტენზიულ ავადმყოფთა წილი 60 პროცენტამდეა. არამდგრად დაავადებათა რისკ-ფაქტორების STEPS-ის კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში ჰიპერტენზიის გავრცელება მოზარდთა ჯგუფებში 37,7 პროცენტია, ხოლო მისი სკრინინგის მონაცემებით, ის 60,9 პროცენტს აღწევს.

კონტროლირებული (ეფექტიანად ნამკურნალევი) ჰიპერტენზიის მაჩვენებელი კი მოზრდილი პოპულაციის ჯგუფებში მხოლოდ 16 პროცენტია.

მაღალი არტერიული წნევა, რომელსაც ბევრი ჩვენგანი სხვადასხვა მიზეზით დროდადრო, ზოგიც გამუდმებით უჩივის, პაციენტების ჯანმრთელობისთვის მეტად სერიოზული საფრთხეა, რის გამოც ექიმთა განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენს.

დადგენილია, რომ ჰიპერტენზიული დაავადება ძალიან ხშირად ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკში იწყება და მისი მთავარი რისკ-ფაქტორი გენეტიკური განწყობაა. ამიტომ, თუ ბავშვი ჭარბწონიანია და მის მშობლებს (რომელიმეს მაინც) აღენიშნება სიმსუქნე ან ჰიპერტონიული დაავადება, საჭიროა არტერიული წნევის შემოწმება და კონტროლი, ასევე მნიშვნელოვანია წონის კორელაციაც.



ირაკლი სასანია

აღსანიშნავია ისიც, რომ საწყის სტადიაზე ჰიპერტენზიას არ ახასიათებს სპეციფიკური ჩივილები, ამიტომ ის შეიძლება სულაც წნევის შემთხვევით გასინჯვის დროსაც კი გამოვლინდეს.

არტერიული ჰიპერტენზია გულის, თავის ტვინისა და თირკმლების სისხლძარღვოვანი დაავადებების უმთავრესი რისკ-ფაქტორია, რომელიც ორივე სქესის წარმომადგენლებში სხვადასხვა ასაკში ვლინდება.

და კიდევ: არტერიული ჰიპერტენზიის რისკი, რომელსაც მედიკოსებმა „ჩუმი სიკვდილი“ შეარქვეს, მატულობს ოჯახური ისტორიის, ცხოვრების სტილისა და მიღებული მედიკამენტებიდან გამომდინარე. მათ რიცხვშია: **ასაკი, ჭარბი წონა, ოჯახური ანამნეზი, რაციონში დიდი დოზით მარილი, თამბაქოს მოწევა, ჭარბი ოდენობით ალკოჰოლის მოხმარება, ანამნეზში სხვადასხვა დაავადება (მათ შორის ძილის ობსტრუქციული აპნოე, თირკმლის პათოლოგიები, თირკმელზედა ჯირკვლის სიმსივნე და სხვ.), არააქტიური ცხოვრების წესი. დაბოლოს, ჰიპერტენზიის მანიშნებელი სიმპტომებია, რომელიც უმეტესად გაზაფხულზე, ტემპერატურის მატებასთან ერთად იჩენს თავს, თავის ტკივილი, ძილიანობა, გულის ფრიალი, მხედველობის დაბინდვა და დაღლილობა.**

– რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, იყო დრო, როცა ჰიპერტენზიის თაობაზე სამედიცინო სამყაროში აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა: ზოგნი მიიჩნევდნენ, რომ ესაა ავადმყოფობა, რომელიც განსაკუთრებულ მკურნალობას საჭიროებს, სხვათა აზრით კი მას ორგანიზმი თავისით არეგულირებს, ამიტომაც რაიმე სპეციალური მკურნალობა აუცილებელი არ არის, – აღნიშნა სხდომის გახსნისას საბჭოს თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა **რამაზ ხეცურიანმა**. – არადა, ჰიპერტენზია ვერაგი დაავადებაა, ვინაიდან წნევის მომატებას ადამიანი ხშირად ვერ გრძნობს, რაც ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველია. ამასთან, ჰიპერტენზიის მკურნალობას მრავალი პრობლემა ახლავს, რომელთა გადაწყვეტა დროულადაა საჭირო.

– სნეულებებს შორის ჰიპერტენზია ერთ-ერთი ყველაზე ვერაგი პათოლოგიაა, რომელიც ადამიანებში სიკვდილიანობის ხელის შემწყობ გარემოს აყალიბებს, – თქვა მომხსენებელმა. – ამასთან, აღსანიშნავია, რომ მაღალი არტერიული წნევა შესაძლოა სულაც არ ნიშნავდეს იმას, რომ საქმე გვაქვს ჰიპერტენზიასთან.

მან მოკლედ მიმოიხილა ჰიპერტენზიის კვლევის ისტორია საქართველოში, ამ დიდ საქმეში სამამულო კარდიოლოგიის ფუძემდებლის, აკადემიკოს **მიხეილ წინამძღვრიშვილის** როლი და გაიხსენა მისი დარიგება, რომ „ჰიპერტენზიასთან ბრძოლა შეუძლებელია მისი პროფილაქტიკის გარეშე“. მან ასევე ილაპარაკა ჰიპერტენზიის პათოფიზიოლოგიაზე, ეპიდემიოლოგიაზე, ჩატარებული ეფექტიანი მკურნალობის, აგრეთვე ჰიპერტენზიის პრეკლინიკურ (ანუ უსიმპტომო) ვითარებაზე საქართველოში და ამასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

მოხსენების სოლიდური ნაწილი, პროფესორმა ბეჟან წინამძღვრიშვილმა მიუძღვნა საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში ჰიპერტენზიის მართვის აქტუალურ საკითხებს, განიხილა არსებული ხარვეზები:

– პირველადი ჯანდაცვის სისტემაში ჰიპერტენზიის მართვაში არსებობს რამდენიმე ნეგატიური გარემოება, მათ შორის: **ტიტრაციული ვიზიტების დარღვევა, პრეპარატების ხშირი ცვლა და წყვეტილობა მკურნალობაში, არტერიული წნევის სამიზნე დონის მიუღწევლობა, პაციენტის დაბალი დამყოლობა, მკურნალობაზე უარის თქმა და, როგორც შედეგი, მკურნალობის არაეფექტიანობა,** – აღნიშნა სწავლულმა მედიკოსმა. – ეს დარღვევები დიდწილად განაპირობებს დაავადების მიმდინარეობის გამწვავებას, მოითხოვს ხშირად ჰოსპიტალიზაციას, ამძიმებს დაავადების პროგნოზს.



არჩილ ჩხოტუა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან და მთელი რიგი სხვა გარემოებიდან გამომდინარე, საქართველოში ამჟამად მიმდინარე პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ფარგლებში, ქვეყნის ჰიპერტენზიული საზოგადოების თავკაცმა, სხდომაზე წარადგინა **„რეკომენდაციები საქართველოში ჰიპერტენზიის მართვის გაუმჯობესების მიზნით“**, რომელიც ითვალისწინებს რიგი ღონისძიების გატარებას, კერძოდ: **ქვეყნის მასშტაბით მიოკარდიუმის ინფარქტისა და თავის ტვინის ინსულტის, ასევე ჰიპერტენზიის ეროვული რეგისტრების შექმნას.** გარდა ამისა, აღნიშნულია, რომ მაღალი არტერიული წნევის ჰიპერტენზიის კონტროლის გასაუმჯობესებლად, პირველადი ჯანდაცვის სისტემაში საჭიროა: **პრაქტიკაზე მორგებული მართვის პროტოკოლის დანერგვა; პერსონალის (ექიმების, ექთნების) კომპეტენციების გაფართოება; პირველადი ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფა; მაღალი არტერიული წნევისა და ჰიპერტენზიის რეგისტრაციის სისტემის შექმნა; ჰიპერტენზიასთან დაკავშირებული რისკების ხანგრძლივი მართვისთვის რეკომენდებული მედიკამენტებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა; ჰიპერტენზიის გადაუდებელი მდგომარეობების მართვის პროტოკოლების დანერგვა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სერვისებში და სხვ.**




მოხსენებასთან დაკავშირებული დისკუსიისას სხდომის გამძღოლმა, აკადემიკოსმა რამაზ ხეცურიანმა ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას და აღნიშნა დაყენებულ საკითხთა აქტუალობა, რადგან ჰიპერტენზიის ფართო გავრცელება მას 21-ე საუკუნის მთავარ პათოლოგიად აქცევს.

შემდეგ პროფესორ ბ. წინამძღვრიშვილს შეკითხვები დაუსვეს საბჭოს წევრებმა და დამსწრე ავტორიტეტულმა მედიკოსებმა, მათ შორის, აკადემიკოსებმა **დავით მიქელაძემ** და **რომან შაქარიშვილმა**, წევრ-კორესპონდენტმა **მიხეილ ოკუჯავამ**, პროფესორებმა **დუდანა გაჩეჩილაძემ, არჩილ ჩხოტუამ, დალი ტრაპაიძემ, ალექსანდრე თავართქილაძემ, ირაკლი მეგრელაძემ**, სხვებმა.

სხდომის მონაწილე საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე **ირაკლი სასანია** შეეხო ჰიპერტენზიასთან გამკლავების მთელ რიგ ასპექტს, მათ შორის მკურნალობის, ჰოსპიტალიზაციისა და მისი მიზეზით გამოწვეული პაციენტთა ინვალიდობასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს, დამსწრეთ გააცნო პრობლემის გადაჭრასთან გატარებული ზომების თაობაზე სამინისტროს პოზიცია. კერძოდ, ბატონმა ირაკლი სასანიამ აღნიშნა, რომ **უკვე დაწყებულია მოსახლეობაში ჰიპერტენზიის სკრინინგი,** ხაზი გაუსვა ამ მიმართულებით სათანადო პროტოკოლების დანერგვის საჭიროებას, მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, აგრეთვე ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობას და სწორად კვების, ასევე ყველაფერ ამასთან ერთად, კლინიკებში ციფრული მონიტორინგისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვის და ხელოვნური ინტელექტის ლოკალური სადიაგნოზო შესაძლებლობების გამოყენების აუცილებლობას.

– დაბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ ყველაფერ ამის განხორციელებაში, ცხადია, თქვენი პირადი საექსპერტო ჩართულობა დასახული მიზნის მიღწევის საუკეთესო წინაპირობა იქნება, ბატონო ბეჟან, – დასძინა მინისტრის მოადგილემ.

დასკვნით სიტყვაში აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა** დიდი კმაყოფილება გამოხატა წარდგენილი მოხსენების მაღალი ხარისხით და აღნიშნა, რომ ჰიპერტენზია დიდ პრობლემას წარმოადგენს არა მხოლოდ სპეციალისტებისთვის, არამედ საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის, აღნიშნა სამედიცინო პრობლემათა გადაჭრის უმნიშვნელოვანეს საქმეში აკადემიის სამედიცინო და ბიოლოგიური მეცნიერებათა საკოორდინაციომეთოდოლოგიური საბჭოს როლი, რომელსაც აკადემიკოსი **რამაზ ხეცურიანი** ხელმძღვანელობს და მადლობა გადაუხადა ბეჟან წინამძღვრიშვილს ოჯახის დიდი ტრადიციების ღირსეული გაგრძელებისთვის.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.**

**(მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ).**



ირაკლი მეგრელაძე, კახაბერ ჭელიძე



რომან შაქარიშვილი, მიხეილ ოკუჯავა

საქართველოს რესპუბლიკა



# დიდი პალეონტოლოგი, მახვილი თვალის მქონე მეცნიერი

## აკადემიკოსი აბესალომ ვეკუა -100

გამოჩენილ ქართველ პალეონტოლოგს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრს, ეროვნული მუზეუმის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელს, აკადემიკოს **აბესალომ ვეკუას**, 1 ნოემბერს 100 წელი შეუსრულდებოდა.

ძნელია აბესალომ ვეკუაზე წარსულში წერა. 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჩემი ცხოვრება მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული ამ ადამიანთან – პიროვნებასთან, რომელიც მაგალითი გახლდათ როგორც ადამიანური, ისე პროფესიული ერთგულებისა. ასაკი შეფარდებითი ცნებაა, განსაკუთრებით კი პალეონტოლოგიაში. სიცოცხლის ბოლო დღეებშიც, 90 წელს მიღწეული აბესალომ ვეკუა ენერგიითა და შემოქმედებითი ძალით აგრძელებდა საყვარელი საქმის სამსახურს.

აბესალომ ვეკუამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული პალეონტოლოგიის განვითარებაში. იგი 200-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომისა და ათი მონოგრაფიის ავტორი გახლდათ. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია ამერიკის, ინგლისის, ესპანეთის, რუსეთის, გერმანიის, იტალიის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების მეცნიერულ გამოცემებში. მათ შორის მსოფლიოს უმაღლესი რეიტინგის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში **Nature** (ბუნება) და **Science** (მეცნიერება). მის მიერ აღმოჩენილი და შესწავლილია მეცნიერებისათვის მანამდე უცნობი ცხოველების რიგი წარმომადგენლები.

განსაკუთრებულია მისი წვლილი საყოველთაოდ აღიარებული დმანისის ფაუნისა და ჰომინიდების შესწავლის საქმეში. **„1983 წელს დმანისის ნაქალაქარზე შუა საუკუნეების ორმოებში ნაპოვნ ძვლებში პალეონტოლოგმა აბესალომ ვეკუამ მარტორქის კბილს მიაკვლია, რომელმაც სხვა ნამარხებთან ერთად მას საშუალება მისცა განესაზღვრა დმანისის ქვედა შრეების გეოლოგიური ასაკი – ადრე პლეისტოცენი“. ეს ფრაზა ადამიანის პალეონტოლოგიის მრავალ სახელმძღვანელოებშია შესული. აღნიშნულმა ფაქტმა სათავე დაუდო დმანისის აღმოჩენებს. დღეს საყოველთაოდაა აღიარებული, რომ დმანისში ნაპოვნი ადამიანისა და ცხოველთა განამარხებული ნაშთები და ქვის იარაღები დაახლოებით 1,8 მილიონი წლით თარიღდება. ამ აღმოჩენებმა თავდაყირა დააყენა მყარად დამკვიდრებული მოსაზრება აფრიკიდან ჰომინიდების პირველი განსახლების შესახებ.** მისი ერთერთი ბოლო სტატია დმანისზე 2013 წლის ოქტომბერში ჟურნალ **Science**-ში გამოქვეყნდა და მის ყდაზე მოხვდა. ალბათ სიმბოლურია, რომ სწორედ აბესალომ ვეკუას მიერ შესწავლილი მარტორქის კბილების მინანქრიდან შესაძლებელი გახდა გაანალიზებულიყო 1.8 მილიონი წლის წინანდელი მნიშვნელოვანი გენეტიკური ინფორმაცია – ცილების პროტეომების თანმიმდევრობის სრული ჯაჭვი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მარტორქის კბილის მინანქრის პროტეომების კვლევამ მოლეკულურ პალეონტოლოგიაში ახალი მიმართულებას დაუდო საფუძველი.

**არსებობს და ხშირად ისმის ინგლისური გამოთქმა „self-made man“, ანუ ადამიანი, ვინც თვითონ შექმნა საკუთარი ცხოვრება. თუ აბესალომ ვეკუას განვლილი ცხოვრებას გადავხედავთ, ის სრულად შეესაბამება ამ მოსაზრებას.**

სამამულო ომის მონაწილე გვიან იწყებს სწავლას უნივერსიტეტში, მაგრამ ძალიან სწრაფად ინაზღაურებს გაცდენილ წლებს. აბესალომ ვეკუა სტუდენტობის პერიოდში შეხვდა გამოჩენილ მეცნიერს, აკადემიკოს ლეო გაბუნიას, რომელმაც განსაზღვრა მისი მომავალი პროფესიული ცხოვრება. ადრეულ წლებში ჩასახული ეს კავშირი იყო ძალიან მჭიდრო და ნაყოფიერი. აბესალომ ვეკუა ბატონ ლეოს გარდაცვალებამდე დარჩა მის ერთგულ თანამებრძოლად.

აკადემიკოსი ლეო გაბუნია და ბევრი გამოჩენილი ქართველი თუ უცხოელი პალეონტოლოგი ერთხმად აღიარებდა ბატონი აბესალომის საოცრად მახვილ თვალსა და ანატომიის საუცხოო ცოდნას. ამიტომაცაა, რომ გადაშენებულ ცხოველთა მრავალი ახალი სახეობაა გამოყოფილი მის მიერ. გადაშენებული ირმის უცნობ(ახალ) სახეობას ბატონი აბესალომის დიდი სამეცნიერო ავტორიტეტის გამო გამოჩენილმა გერმანელმა მეცნიერმა ჰანს კალკემ აბესალომი (**Cervus abesalom Khalke**, 2001) დაარქვა.

აკადემიკოსი აბესალომ ვეკუა თვითონ ატარებდა გათხრებს და საკუთარი ხელით მოიპოვებდა მასალას. მისი უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობდა უკანასკნელი პერიოდის ყველა მნიშვნელოვანი გათხრები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში თითქმის არ არსებობს პალეონტოლოგიური ძეგლი, რომლის კვლევაშიც ბატონ აბესალომს მონაწილეობა არ მიუღია. დმანისში აღმოჩენილი თითქმის ყველა ჰომინიდის ნაშთი მისი ხელითაა ამოღებული.

ბატონი აბესალომის ორგანიზებულობა და საქმისადმი ფანტასტიკური ერთგულება ყოველთვის მისაბაძ მაგალითს წარმოადგენდა ახალგაზრდა მკვლევრებისთვის.

**აკადემიკოს აბესალომ ვეკუას მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მათ შორის ღირსების ორდენი, საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, ლეო დავითაშვილის პრემია და სხვ.**

**ბატონი აბესალომი გამოირჩეოდა კოლეგებისადმი დიდი გულისხმიერებით და სარგებლობდა მათი განსაკუთრებული სიყვარულით.**

**ქართული მეცნიერება ამაყობს მისი ერთგული მსახურით, როგორიც იყო ბატონი აბესალომ ვეკუა.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება**

# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

# განცხადება

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით, გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემია მიენიჭათ:

1. **ილია ვეკუას სახელობის პრემია** – აკადემიკოს ალექსანდრე ხარაზიშვილს მონოგრაფიისათვის – **„ლექციები ნამდვილ ანალიზსა და ზომის თეორიაში“;**

2. **ალბერტ თავხელიძის სახელობის პრემია** – აკადემიკოს ალექსანდრე კვინიხიძეს ნაშრომისათვის – **„კოვარიანტული განტოლებები ტეტრაკვარკებისათვის კვანტური ველების თეორიაში“** ;

1. **გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია** – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორ მერაბ ადეიშვილს მონოგრაფიისათვის – **„საინჟინრო დარგების განვითარება საქართველოში: განათლება, მეცნიერება, მშენებლობა“;**

2. **ივერი ფრანგიშვილის სახელობის პრემია** – აკადემიკოს ქართლოს ყაჭიაშვილს ნაშრომთა ციკლისათვის – **„სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება მოცემული საიმედოობით“;**

3. **ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის პრემია** – გეოლოგიამინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორ ვაჟა გელეიშვილსა და მეცნიერებათა კანდიდატ ოთარ მაჭავარიანს (გარდაცვალების შემდეგ) მონოგრაფიისათვის – **„საქართველოს ბუნებრივი და სამშენებლო მოსაპირკეთებელი ქვები“** და **„საქართველოს ბაზალტების საბადო-გამოვლინებები და მათი გამოყენების პერსპექტივები“,**

4. **მიხეილ ნოდიას სახელობის პრემია** – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორ ავთანდილ ამირანაშვილს, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორ ელიზბარ ელიზბარაშვილს, აკადემიურ დოქტორებს: ოთარ ვარაზანაშვილს და გიორგი გაფრინდაშვილს შრომათა ციკლისათვის –**„ბუნებრივი საშიშროებები საქართველოში: პარამეტრული კატალოგების შედგენა და კანონზომიერებების გამოკვლევა“;**

5. **რაფიელ აგლაძის სახელობის პრემია** – ქიმიის აკადემიურ დოქტორებს: თინათინ ლეჟავას, ნანა ქოიავას, ლევან ბერიაშვილს, ჯემალ შენგელიას, დავით გოგოლს, ლევან ბერიაშვილს **რაფიელ აგლაძის სახელობის პრემია** 3000 ლარის ოდენობით ნაშრომთა ციკლისათვის – **„ტექნოლოგიური სიახლეები მანგანუმისა და მისი ნაერთების წარმოებაში“;**

6. **პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემია** – ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ ედიშერ კვესიტაძეს, აკადემიკოს რამაზ გახოკიძეს, აკადემიის წევრ–კორესპონდენტ გია ხატისაშვილს მონოგრაფიისათვის **„დედამიწის ეკოლოგიური და სასურსათო პოტენციალი“;**

7. **სერგი დურმიშიძის სახელობის პრემია** – აკადემიკოს თინათინ სადუნიშვილს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორებს: დალი ღაღანიძეს და ნანული ამაშუკელს ნაშრომთა ციკლისათვის **„მცენარეთა ბაქტერიოზების გამომწვევი პათოგენური ბაქტერიების ფენოტიპური და გენეტიკური მრავალფეროვნება“;**

10. **ნიკო კეცხოველის სახელობის პრემია** ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორ ზაურ ლომთათიძეს ნაშრომათა ციკლისათვის – **„აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ტიპის ნიადაგების მიკროფლორა“;**

11. **ივანე თარხნიშვილის სახელობის პრემია** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ ირინე კვაჭაძეს შრომათა ციკლისა და ფუნდამენტური ქართულენოვანი სახელმძღვანელოსათვის – **„ადამიანის ფიზიოლოგია“,**

12. **ზაზა ფანასკერტელის სახელობის პრემია** – ბიოლოგიის აკადემიურ დოქტორ ნანი ხელაიას **ნაშრომთა ციკლისათვის – „ქართული სამედიცინო ხელნაწერების მოძიება და შესწავლა – კატალოგიზება“;**

13. **გიორგი გიგაურის სახელობის პრემია** – აკადემიურ დოქტორებს: გიორგი ქავთარაძეს, ზურაბ მანველიძეს, ნატო კობახიძეს; დოქტორანტებს: ლადო ბასილიძეს, მარგალიტა ბაჩილავას; მაგისტრანტებს: ელიზავეტა ავოიანს, ბესარიონ აფციაურს; საპატიო დოქტორ ნანი გოგინაშვილს მონოგრაფიისათვის – **„უცხო მერქნიან მცენარეთა ინვაზია საქართველოს დაცული ტერიტორიების ტყის ჰაბიტატებში“;**

14. **ნიკოლოზ ხომიზურაშვილის სახელობის პრემია** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს ევგენი ბარათაშვილსა და აკადემიურ დოქტორ ირმა ბარათაშვილს (გარდაცვალების შემდეგ) მონოგრაფიისათვის – **„კლასტერების მენეჯმენტი“;**

15. **ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის პრემია** – აკადემიკოს ავთანდილ სილაგაძეს ნაშრომთა ციკლისათვის – **„ეკონომიკური დოქტრინების სათავეებთან“;**

16. **გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის პრემია** – ავტორთა ჯგუფს – თამაზ დვალს, ალექსანდრე კუზანაშვილს, ლალი მოწონელიძეს და თამარ რუსიშვილს წიგნისათვის – **„საქართველოს მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა – კახეთი“;**

17. **კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პრემია** – აკადემიის წევრ–კორესპონდენტ სოსო სიგუას წიგნისათვის: **„XX საუკუნე: მოდერნიზმი და ავანგარდიზმი“;**

18. **გიორგი წერეთლის სახელობის პრემია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ მაია რაფავას ნაშრომთა ციკლისათვის – **„პროკლე დიადოხოსის კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“, „იოანე პეტრიწის განმარტებები“ და „ათონის ქართველთა მონასტერი“.**




# ბედნიერი ერი

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?
მძიმე ყალნით,
ლამაზ ფალნით
მორთული და მშვენიერი;
უწყინარი,
უჩივარი,
ქედდრეკილი, მადლიერი;
უშფოთველი,
ქვემძრომელი,
რიგიანი, წესიერი;
ყოვლად მთმენი,
ვით ჯორ-ცხენი,
ნახედნი და ღონიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
ყველა უნჯი,
ყველა მუნჯი,
გულჩვილი და ლმობიერი;
თვალაბმული,
თავაკრული,
პირს ლაგამი ზომიერი;
ყველა ყრუი,
ყველა ცრუი,
ჭკვადამჯდარი, გულხმიერი;
მცირე, დიდი -
ყველა ფლიდი,
ცუღლუტი და მანკიერი.
ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!

მტერწაყრილი,
თავდახრილი,
ყოვლად უქმი, უდიერი;
უზრუნველი,
გზამრუდელი,
არგამტანი და ცბიერი;
მტრის არმცნობი,
მოყვრის მგმობი,
გარეთ მხდალი,
შინ ძლიერი;
არის მქონე,
არის მცოდნე,
უზრუნველი და მშიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი
კიდევ არის სადმე ერი?

**...დიახ, დიდი რუსეთის გარეშე დღესაც არ არის ხსნა ბედკრული საქართველოსთვის, რადგან დიდი ილიას „ბედნიერი ერის“ დღევანდელმა თაობამ, 1989 წლიდან მოყოლებული, ვითარცა თოთო ბავშვი, ახალშობილი ქართული დემოკრატია ეროვნულ-გამათავისუფლებელი „ქარიშხლის“ დღემდე დაუმთავრებელ სტიქიას გადააყოლა და პოლიტიკური უმაღურობის კლასიკური ნიმუში გვიჩვენა!**



ილია ჭავჭავაძე

# დიდი რუსეთის გარეშე არ არის ხსნა საქართველოსა და ქართველებისათვის!..

**გასული საუკუნის მიწურულს, ვიმეორებ, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის და განსაკუთრებით დამოუკიდებლობის აქტის გაფორმების შემდგომ, საოცარი მასშტაბით გაშლილმა ანტირუსულმა პროპაგანდამ საქართველო ძალიან დააშორა ერთ დროს მეგობარ, ერთმორწმუნე, ძლიერ და მფარველ მეზობელს. ისტორიას ჩაბარდა ის კეთილგონივრული ურთიერთობები, რასაც ადგილი ჰქონდა განათლების, მეცნიერების, მედიცინის, მშენებლობის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ხელოვნების, კულტურის, ტურიზმის, სპორტისა და სხვა დარგებში. რუსეთი გავხადეთ არა ჩვენი კეთილი კარის მეზობელი ქვეყანა, არამედ საქართველოსადმი მტრულად განწყობილი, ჩვენი მიწა-წყლის მიმტაცებელი, აგრესორი და ოკუპანტი.**

ეს დრო საკმარისი გამოდგა ობიექტური აზროვნების დასაბინდად, ცრუ პატრიოტული სულისკვეთების განსავითარებლად, სიძულვილის და რევანშიზმის დასასადგურებლად.

ამის საილუსტრაციოდ ორიოდე მაგალითს შეგახსენებთ:

ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ- გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მესაძირკვლე დიმიტრი ყიფიანი კავკასიის მთავარმართებელს ალექსანდრე კორსიკოვს მწვავედ დაუპირისპირდა ქართული ენის შევიწროების გამო. მას იმპერატორმა ალექსანდრე III-მ საქართველოდან განდევნა მიუსაჯა და სტავროპოლის მხარეში გადაასახლა.

მოგვიანებით კი, თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი პავლე ჩუდეცკი ხანჯლით განგმირა სემინარიიდან გარიცხულმა იოსებ ლაღიაშვილმა, რომელსაც 20-წლიანი კატორღა მიუსაჯეს. ამის გამო საქართველოს იმჟამინდელ ეგზარქოსს პავლე ლებედევს ჩუდეცკის დაკრძალვაზე სიტყვით გამოსვლის დროს ქართველი ერი არ დაუწყევლია. მაშინ მთავარეპისკოპოსის სიტყვა გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის „ივერიასა“ და დავით ღამბაშიძის ჟურნალ „მწყემსში“, რომლებშიც წყევლის შესახებ არაფერია ნათქვამი. ქართველებმა კი ეს ფაქტი უგულებელყვეს და სიყალბე ისტორიის კუთვნილებად გაასაღეს. ასე დაძაბეს საქართველო-რუსეთის ურთიერთობა. სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები მრავლადაა ჩვენს ისტორიაში. აქედან გამომდინარე – რუსეთისადმი განწყობაც შეიცვალა. შენ თუ რუსთმოძულე ხარ, ღირსებას ეს ვერ შეგმატებს.

სამწუხაროდ, ჩვენ კაცთმოძულე ერს ვემსგავსებით!..

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ფინეთს რომ საბჭოთა კავშირთან ახალი ურთიერთობები არ განევითარებინა – მტერთან, რომელმაც მას ომიც მოუგო და დიდი ტერიტორიებიც წაართვა, რა მდგომარეობაში იქნებოდა ის დღეს? ფინეთი მსოფლიოს მოწინავე ქვეყანაა ხალხის ცხოვრების დონის თვალსაზრისით და როგორც მათი პოლიტიკოსები აცხადებენ, ეს მოხერხდა სწორედ საბჭოთა კავშირთან, შემდეგ რუსეთთან კონსტრუქციული ურთიერთობების წყალობით. ფინეთს არ სურს რუსეთის გაღიზიანება, ფინეთი არ უწოდებს რუსეთს ოკუპანტს, აგრესორს და დამპყრობს ქართველების მსგავსად.

მკითხველის ნებართვით მცირე გადახვევას გავაკეთებ – 1980 წელს მივლინებით ვიყავი მაშინდელ ლენინგრადში, მასპინძლებმა დამათვალიერებინეს ცნობილი მხატვრის ილია რეპინის და შესანიშნავი პოეტის ანა ახმატოვას (გორენკო) საფლავები. ორივე საბჭოთა რუსეთს ფინეთში გაექცა და იქ პოვეს სამუდამო განსასვენებელი. წლების შემდეგ ფინეთის დიდი ტერიტორია დაიპყრო საბჭოთა კავშირმა, მათ შორის მათი საფლავებიც. ცოცხლები საბჭოთა რუსეთს გამოექცნენ და მიცვალებულები კი ისევ გასაბჭოებულ რუსეთში განისვენებენ.

იაპონიას რომ მუდამ ეძახა – აშშ აგრესორი და ჩვენი დამაქცევარიაო (ნაგასაკი-ჰიროსიმის ტრაგედიის შემდეგ), იაპონია იქნებოდა ისეთი წარმატებული სახელმწიფო, როგორიც დღეს არის?! არა, რა თქმა უნდა!..

ისტორიაში ომებს რა მოსთვლის, მაგრამ ყოველი მათგანი მოლაპარაკებით მთავრდებოდა. ასეა დღესაც. მეორე მსოფლიო ომში დამარცხებულმა და განადგურებულმა გერმანიამ შესაშური ურთიერთობა დაამყარა საბჭოთა კავშირთან, შემდეგ რუსეთთან. გერმანელ ბიზნესმენებს დიდი ინვესტიციები აქვთ ჩადებული რუსეთში, მიუხედავად აშშ-ის სერიოზული წინააღმდეგობისა.

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, მაგალითები ურიცხვია. მინდა მოვუწოდო ბრიყვ და უვიც ქართულ რადიკალურ ოპოზიციას, რომელიც აგრესიულად არის განწყობილი რუსეთის მიმართ.

რუსეთთან კეთილგონივრული ურთიერთობა აუცილებელია. პირდაპირ გეტყვით – რუსეთის გარეშე ჩვენ ვერ დავიბრუნებთ აფხაზეთს და სამაჩაბლოს.

ჩვენ დღესაც ოლიმპიური სიმშვიდით ველით უცხოეთიდან მხარდაჭერას და თანადგომას, მათი შიშით კი სიტყვაც ვერ დაგვიძრავს. დრო კი ულმობლად გადის და როდესაც „გამოვფხიზლდებით“, ძალიან გვიან იქნება!

დასავლეთს ისე მოვაბეზრეთ თავი ჩვენი ევროპელობით, რომ გერმანულმა გაზეთმა „იუნგე ვულტმა“ სტატია გამოაქვეყნა ასეთი სათაურით – „საქართველო არ არის ევროპა, ისწავლეთ გეოგრაფია!“ სტატია გერმანიის პრეზიდენტის შტაინმაიერის საქართველოში ვიზიტისას დაიბეჭდა. აი, რა წერია მასში: „საქართველოს რატომ სურს ევროკავშირში შესვლა, გეოგრაფიულად ის ხომ ევროპას არ მიეკუთვნება? საერთაშორისოდ აღიარებული გეოგრაფიული განსაზღვრების თანახმად, ევროპის საზღვარი კავკასიის ქედზე გადის. საქართველო კი ამ საზღვრის მიღმა მდებარეობს და ევროპას არ მიეკუთვნება“, – წერს სტატიის ავტორი **ლაუტ ერბახი.**

უკიდეგანო საბჭოთა ტერიტორიაზე არსებულ რესპუბლიკებში, მოსკოვში თუ სხვა ქალაქებში, ყველგან ხელგაშლილი გვხვდებოდნენ, იმიტომ, რომ ირგვლივ ვითარება იყო კეთილმეზობლური და კეთილგანწყობა სუფევდა. არავითარი საზღვრები და სავიზო რეჟიმი არ არსებობდა, თავისუფლად ვმოგზაურობდით... ჩვენ კი ყოველივე დავანგრიეთ, მიწასთან გავასწორეთ, წინაპართა მოწიწებით ხსენების ნაცვლად, დღენიადაგ ვაგინებთ მათ. **მარტო ვასილ მჟავანაძის მაგალითი კმარა.**

ვთესავთ შუღლს, მტრობასა და ზიზღს, განსაკუთრებით რუსების მიმართ.

**„რუს და ქართველ ხალხთა ტრადიციული ურთიერთსიყვარული ჩვენთვის უფრო საჭირო, ვიდრე რუსთათვის, ვინაიდან ჩვენი კეთილდღეობის, ჩვენი ხსნის ერთადერთი საწინდარია. დიდ თვალუწვდენელი რუსეთისთვის კი, ქართველის მისდამი სიყვარულის საკითხი შეიძლება იყოს მხოლოდ ზნეობრივი ხასიათის, კეთილშობილური მზრუნველობის საგანი და მოკლებულია ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას: ვინაიდან რუსეთი თავისთავად მეტად ღონიერი და ძლიერია და ამიტომ არ სჭირდება რომელიმე პატარა ხალხის თანაგრძნობაში ეძიოს თავისთვის საყრდენი: ჩვენთვის ქართველებისთვის, ეს სიყვარული დაკავშირებულია ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხთან – დიდი რუსეთის გარეშე არ არის ხსნა საქართველოსა და ქართველებისთვის“.** – ეს სიტყვები **ილია ჭავჭავაძეს** ეკუთვნის.

და კიდევ „რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების დღიდან საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. ერეკლე მეორის მხრიდან ეს მეტად გონივრული და შორს გამიზნული ნაბიჯი იყო. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დაცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე; გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბე-

ვა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრად-ღა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარი ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაუქცია მისს თავდადებულ შვილებს, რომელნიც უმწეოდ, უნუგეშოდ, ყველასგან შორს მარტოდმარტო იხოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნოების სადიდებლად და თავისი ვინაობის გადასარჩენად“.

დიდი ილიას ამ სიტყვებს კომენტარი არ სჭირდება!!!

გრიგოლ ორბელიანის აზრით – **„ქართველებო, ნუ მივიყვანთ რუსებს სასოწარკვეთილებამდე, რომ იძულებულნი შეიქნან საქართველო მიატოვონ, რომელიც უმალ არეულობის, ურთიერთშუღლის და უბოროტესი მტრების თავდასხმების, აწიოკების, ხოცვა-ჟლეტის მსხვერპლი გახდეს“.**

აი, ასეთი პრინციპული, ჯანსაღი სამართლიანი განწყობა სუფევდა მაშინდელი საქართველოს ინტელექტუალურ საზოგადოებაში.

დღეს კი ზოგიერთ უმეცარს ჰგონია, რომ საბჭოეთის დროს მოსკოვის ნებართვის გარეშე „ჩეჩმასაც“ კი ვერ ავაშენებდით საქართველოში!..

არადა, მთელი საქართველო სამშენებლო პოლიგონს მოგაგონებდათ. ქვეყანაში ერთი უმუშევარიც არ იყო. მოსკოვი და საკავშირო ბიუჯეტი აფინანსებდა კაპიტალურ დაბანდებებს.

დიცინო მომსახურებაზე, წამლებზე კატასტროფულად იზრდება ფასები და მასთან ერთად ნაგვის ბუნკერებში თავჩარგულთა რიცხვიც!!!

ჩვენი ქვეყნის მთავრობა და მინისტრები კორუფციაში ყელამდე ჩაფლულები არიან – მათ ხალხი და ქვეყანა ფეხებზე ჰკიდიათ!

საბჭოეთის დროს აშენებული გიგანტი სამრეწველო საწარმოები ჯართად გაიყიდა, 2 მილიონზე მეტი ადამიანი უცხო ქვეყნებშია გადახვეწილი შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ სამუშაოებზე, გვაქვს განათლების უმდაბლესი დონე, კულტურა და ხელოვნება სულს ღაფავს!!!

სამთავრობო ტელეიმედი, საქსტატი და ეკონომიკის სამინისტრო კი ყოველდღე ხალხისთვის სრულიად გაუგებარ წინსვლასა და პროგრესზე ღაღადებს!!!

მოსახლეობის ბოლო საყოველთაო აღწერის მიხედვით, საქართველოში მხოლოდ 3.340.000 ქართველი ცხოვრობს. ეს საგანგაშო მაჩვენებელია. ქვეყანაში მოზღვავებულ მიგრანტთა რიცხვი კი კატასტროფულად იზრდება. მათთვის შენდება არაჩვეულებრივი მრავალსართულიანი კვარტლები და ემირატების 6,5 მილიარდი დოლარის ინვესტიციაც ძირითადად მუსულმანთა შემოდინებას და დამკვიდრებას მოხმარდება. იმიტომ, რომ მათი აგებული არაჩვეულებრივი საცხოვრებელი ბინები, ძალიან ძვირი ეღირება, რომლის შეძენის ფინანსური რესურსი ქართველ ხალხს არ ექნება, ძალიან იშვიათი გამონაკლისის გარდა. ჩვენზე ბევრად შეძლებულ მუ-




უსასყიდლოდ უზრუნველყოფდა მატერიალურტექნიკური და ტექნოლოგიური რესურსებით. ყოველწლიურად მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტ საცხოვრებელ ფართს ვაბარებდით ექსპლოატაციაში, რომელსაც უსასყიდლოდ გადავცემდით მოსახლეობას, ხალხისთვის სამედიცინო მომსახურება და განათლება უფასო იყო.

საბჭოთა სისტემა ბევრად უფრო სამართლიანი და ობიექტური იყო, ვიდრე დღევანდელი ბაკქანალია. დღეს იმ წყობას ის გაუნათლებელი თინეიჯერები და ახალგაზრდები აგინებენ, რომლებსაც ეროვნულ იდეოლოგიაზე წარმოდგენაც არა აქვთ. ფესვს იდგამს ალენ დალესის მოძღვრება, რომელიც ხალხის გამოთაყვანებაზეა ორიენტირებული და ბნელი ძალების დომინირების იდეას სთავაზობს საზოგადოებას.

საბჭოთა ხელისუფლებას მიწა არასდროს გაუყიდია უცხოელზე. წარმოუდგენელი იყო მამაკაცის მამაკაცზე და ქალის ქალზე დაქორწინება. უცხო იყო გეი და ლგბტ-ს აღლუმები.

**დღეს კი ვისაც რა უნდა, იმას აკეთებს და რასაც უნდა, იმას ღრიალებს და ამ საზიზღრობებს თავისუფლებას და დემოკრატიას ეძახის!**

გასაოცარია ჩვენი ახალგაზრდა და ჯანსაღი ხელისუფლების უსუსურობა და უნიათობა. თურქეთის შორსმჭვრეტელმა პრეზიდენტმა ერდოღანმა „პერსონა ნონ- გრატად“ გამოაცხადა და 48 საათის განმავლობაში ათი ქვეყნის ელჩი – აშშ, გერმანია, საფრანგეთი, კანადა, დანია, ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი, ნიდერლანდები და ახალი ზელანდია თურქეთის საშინაო საქმეებში ჩარევის გამო ქვეყნიდან გააძევა.

ჩვენ კი შუბლზე ძარღვგაწყვეტილი, რადიკალიზმის აქტიური მხარდამჭერი გერმანიის ელჩი პეტერ ფიშერი, რომელიც საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებშიც კი უტიფრად ერეოდა და ევროკავშირის ელჩი საქართველოში პაველ ჰერჩინსკი, რომელიც ფარულად აფინანსებს ძალადობრივ, რევოლუციურ პროცესებს, შიდა ტერორიზმის წამხალისებელია და უხეშად ერევა ჩვენს შიდა საქმეებში, ვერ გამოვაცხადეთ „პერსონა ნონ-გრატად“ (არასასურველ პერსონად) და ვერ გავაძევეთ ქვეყნიდან!!!

დღეს კი რა ხდება, სამთავრობო ტელევიზია „იმედი“ ყოველდღე დიდ დროს უთმობს ერთი თაღლითი ვინმე ბაჩიაშვილის ფინანსურ მაქინაციებს, რომელიც საზოგადოებას საერთოდ არ აინტერესებს. ხანდაზმულებს მიზერული პენსიები მხოლოდ 20 ლარით გაუზარდეს. სამაგიეროდ, ყველანაირ საკვებ პროდუქტებზე, სამე-

სულმანებს კი, მოხიბლავთ ჩვენი ზღაპრული ბუნება, ჰავა, კლიმატი, სასმელი, წყალი, საკვები, ხილი, ბოსტნეული, მოსავლიანი სახნავ-სათესი მიწები, ულამაზესი დათოვლილი კავკასიონი, ფოთლოვანი და წიწვოვანი, დაბურული ტყეები, იშვიათი საკრალური უთხოვარის კორომები, მშვენიერი ალპური ზონა, მოჩუხჩუხე მდინარეები, მისტიკური, იდუმალი მღვიმეები, ნაირფერი ყვავილნარით მოჩითული ველ-მინდვრები, თანამედროვე სათხილამურო ტრასები, უნიკალური მინერალური სამკურნალო წყლები და ტალახები, ოთხივე სეზონის არაჩვეულებრივი კურორტები, კრიალა ზღვა და ულამაზესი სანაპირო, მომხიბვლელი, კეთილგანწყობილი ხალხი.

**ალბათ, სულ რაღაც სამოთხ ათეულ წელიწადში ქართველები საქართველოში უმცირესობაში აღმოვჩნდებით. ეს ხომ უბედურებაა! განა ვინმე ჯეროვნად ფიქრობს ამ უმწვავესი პრობლემის მოგვარებაზე?!**

**ზნედაცემული, ბრიყვი დიფ სთეითის აგენტი ოპოზიცია კი, საკონსტიტუციო სასამართლომ თუ არ აკრძალა (სარჩელი უკვე შეტანილია!), ქვეყანას უარეს დღეში ჩააგდებს.**

**ხელისუფლებას და მის მხარდამჭერ ქართველ ხალხს მეტი გონიერება, პრინციპულობა და გაბედულება მართებს!**

ომარ მარგველაშვილი,

საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი, ნიკო ნიკოლაძის და ნიკო ლორთქიფანიძის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი.



# „ყველაფერი რუსული ბოროტებაა“,

## ანუ რუსოფობიის საიდუმლო




**რუსოფობია არის დასავლური, არამართლმადიდებლური სახელმწიფოების სტრატეგიული იდეოლოგია, რომელიც XV ს-დან, რუსეთის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ, ბიზანტინოფობიის წილ დაინერგა.**

**მართლმადიდებლობისადმი სიძულვილს დასავლური სამყარო, უკვე ათი საუკუნეა მეთოდურად გამოხატავს.**

XI ს-ში კათოლიკური დასავლეთი დოგმატულ სწავლებაში თვითნებურად შეტანილი ცვლილების გამო საერთოდ გამოეყო მართლმადიდებლურ აღმოსავლეთს, ხოლო მის მცველსა და წინამძღოლს, ბიზანტიის იმპერიას 1204 წელს მოწყობილი მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობით ძირი გამოუთხარა. ამის შემდეგ კი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, მაჰმადიანმა თურქებმა ორსაუკუნოვანი ბრძოლა კონსტანტინეპოლის აღებით დაასრულეს.



მიუხედავად იმისა, რომ XVI ს-ის რეფორმაციამ კათოლიკური ეკლესია გაყო და ახალი პროტესტანტული მიმდინარეობები წარმოქმნა, დასავლეთის საერთო განწყობა აღმოსავლეთისადმი არ შეცვლილა. ევროპული სახელმწიფოები, განსაკუთრებით ანგლოსაქსები, ყოველთვის პოულობდნენ რესურსებს, რომ რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი სსრკ-ის წინააღმდეგ ომები ეწარმოებინათ.

დასავლური პოლიტიკა პრინციპულად ახლაც იგივეა. ამიტომ იგი, მით უმეტეს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსოფობიურ იდეოლოგიას აქტიურად ავრცელებს. ნიადაგი სასურველი მოსავლის მისაღებად მას წინასწარ აქვს მომზადებული:

**ეს არის განუსწავლელი ახალგაზრდობა, რომელსაც ადგილობრივი აგენტურის მიერ სახელმძღვანელოდ მიწოდებული აქვს მარტივი ინსტრუქცია: ყველაფერი რუსული ბოროტებაა; ეს არის ჭეშმარიტების კრიტერიუმი, საზომი, რომელიც საკითხის არსში გარკვევის ნაცვლად შეგიძლია უწოდო ნებისმიერ წამოჭრილ პრობლემას, ანუ შინაარსი უნდა გადაიტანო ნომინალურ ჭრილში; ხოლო, აქედან გამომდინარე, ყოველგვარი მოვლენა, რასაც რუსული ვუწოდეთ, თავისთავად ბოროტებაა. მაშ, შენ გაიმარჯვე!**

ეს სოფისტური დებულება ეკლესიაშიც წარმატებით შემოიტანეს. თუმცა, ვაი-პატრიოტული შემართებით გარევოლუციონერებული რამდენიმე სამღვდელო პირი მასების შემოკრებას ამაოდ ცდილობს, რადგან ეკლესიურ საზოგადოებას კარგად ახსოვს და მეტიც იცის იმის შესახებ, თუ რა მოჰყვა «ვარდების რევოლუციას» და ნაცებმა რამდენი უბედურება შეამთხვიეს ბერსა და ერს!



**დაბოლოს, ცოტა არ მიშრომია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა შესასწავლად და ზოგი რამ ბეჭდურადაც მაქვს გამოქვეყნებული, ამიტომ ნათქვამს ვერ გავიმეორებ. მხოლოდ გამბონეს შევახსენებ, რომ ჩვენ გვყავს იმგვარი ისტორიკოსები და მამულიშვილები, რომლებიც სანდო წყაროების დამოწმებით მიგვითითებენ რუსი ერის დამსახურებაზე, რომელიც, მიუხედავად ცალკეულ პიროვნებათა უმსგავსო საქციელისა, არა მტრობისა და უმადურობისკენ, არამედ ურთიერთშენდობისა და კეთილმეზობლობისკენ უნდა აღგვძრავდეს.**



ბერდიაკონი

გიორგი (რუხაძე),

ფილოსოფიის დოქტორი.

# „სოკრატემ“ ბირთვული ომი იწინასწარმეტყველა!



**მარტინ არმსტრონგი: თუ ტრამპი მახეში გაებმება და NATO-სა და რუსეთს შორის ომში ჩაერთვება, ჩვენ დავმარცხდებით, რადგან ეს ომი ბირთვულ ფაზაში გადავა**



**ორი თვის წინ, ლეგენდარულმა ფინანსურმა და გეოპოლიტიკურმა ანალიტიკოსმა მარტინ არმსტრონგმა აღნიშნა, რომ მისმა კომპიუტერულმა პროგრამა „სოკრატემ“ „ბირთვული ომის 100%-იანი ალბათობა“ იწინასწარმეტყველა.**

არმსტრონგი ცდილობდა პრეზიდენტ ტრამპისთვის დაენახვებინა, რომ თავი აერიდებინა NATO/უკრაინა/რუსეთის ომში მონაწილეობისგან, თუმცა ვერ ახერხებდა ტრამპის გარემოცვასთან დაკავშირებას. სიტუაციის არასტაბილურობა და გაურკვევლობა კი აშკარად შემაშფოთებელი იყო. სულ ახლახან გავრცელდა მცდარი ცნობები, თითქოს უკრაინაში „ტომაჰავკის“ ტიპის რაკეტების გაგზავნა იგეგმებოდა, თუმცა ტრამპმა ეს ინფორმაცია უარყო. ამის შემდეგ, პრეზიდენტმა ტრამპმა სანქციები დაუწესა რუსულ ნავთობკომპანიებს, რასაც რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ხელმძღვანელისა და ომის მომხრე დმიტრი მედვედევის მკაცრი რეაქცია მოჰყვა: მან განაცხადა, რომ „აშშ ჩვენი მტერია“ და ამერიკის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები „ომის აქტად“ შეაფასა.

**საბოლოოდ, პრეზიდენტმა ტრამპმა მარტინ არმსტრონგს სთხოვა, შეემუშავებინა სამშვიდობო გეგმა. არმსტრონგი ამბობს: „გამიკვირდა, რომ რუსეთთან დაკავშირებული ბრიფინგისთვის დამიბარეს. მათ იციან, სად ვდგავარ. იციან, რომ რუსეთში უკანა არხები მაქვს მათ სურდათ, შემემუშავებინა სამშვიდობო წინადადება, რომელიც, მათი აზრით, პუტინს მოეწონებოდა. ვკითხე: მართლა გინდათ, ეს გავაკეთო? მითხრეს – კი. მაშინ ვუთხარი – კარგი. ოთხი დღე დამჭირდა, რომ თითქმის 200-გვერდიანი ანგარიში დამეწერა. აბსოლუტურად ყველაფერი გავაანალიზე“.**

ეს არის დოკუმენტი, სახელწოდებით „სამშვიდობო წინადადება მესამე მსოფლიო ომის თავიდან ასაცილებლად“. იგი სპეციალურად პრეზიდენტ ტრამპისთვის და მისი ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირებისთვის დაიწერა. არმსტრონგმა ეს დოკუმენტი საჯაროდ გამოაქვეყნა, რათა ყველამ შეძლოს მისი წაკითხვა. არმსტრონგის პირველი რჩევა პრეზიდენტ ტრამპის მიერ რუსეთის ნავთობკომპანიებისთვის დაწესებულ სანქციებს ეხება. არმსტრონგი ამბობს: „ამ ანგარიშში, რომელიც თავისუფლად შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ, ხაზგასმით აღვნიშნე, რომ სანქციებს არასდროს, არცერთხელ არ მოუტანია შედეგი. ისინი ნეოკონების ოცნებაა“.

**რა მოხდება, თუ პრეზიდენტი ტრამპი მახეში გაებმება და NATO-სა და რუსეთს შორის ომში ჩაერთვება? არმსტრონგი ამბობს: „ჩვენ დავმარცხდებით, რადგან ეს ომი ბირთვულ ფაზაში გადავა“.**

გარდა ამისა, არმსტრონგი ამბობს: „ჩინეთმა განაცხადა, რომ არ აპირებენ დაუშვან რუსეთის დამარცხება, და დაამატეს: „რადგან ვიცით, რომ შემდეგი ჩვენ ვიქნებით“.

თუ პუტინი უკან დაიხევს, კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა გაჩნდება. არმსტრონგი ამბობს: „პუტინის პრობლემა – და ამაზე სერიოზულად ვღელავ – არის გადატრიალება ვინც ფიქრობს, რომ სანქციებით პუტინის უკან დახევა შეიძლება, სჯობს სარდაფში თავშესაფარი მოაწყოს. გადატრიალება გარდაუვალია, და მათი ნეოკონები ისეთივე სასტიკები არიან, როგორიც ჩვენი. მათ ამერიკელები სძულთ. თუ პუტინი იძულებული გახდება, უკან დაიხიოს, ამას სირცხვილად ჩათვლიან და, ზუსტად ისე, როგორც ხრუშჩოვი, გადააყენებენ. შემდეგ კი ვიღებთ ვიღაც მედვედევის მსგავსს“.

**არმსტრონგის წინადადება, ფაქტობრივად, გულისხმობს, რომ ამერიკამ რუსეთთან ერთად დაიწყოს იშვიათი წიაღისეული მინერალების მოპოვება. არმსტრონგი ამბობს: „მათ აქვთ ის გამოცდილება, რაც ჩვენ არ გვაქვს ამ მინერალების მოპოვებაში მხოლოდ ერთი F-35-ის შესაქმნელად 920 ფუნტი ასეთი მასალაა საჭირო“.**

მარტინ არმსტრონგი ასევე აღნიშნავს: „ნიქსონმა და კისინჯერმა დიალოგი დაიწყეს ჩინეთთან, რათა ჩინეთი რუსეთიდან გამოეყოთ. დაყავი და იბატონე. ჩვენი ნეოკონები კი ზუსტად საპირისპიროს აკეთებენ. რა გააკეთეს? - ისინი ერთმანეთს დააახლოვეს“.

თუ პრეზიდენტი ტრამპი თავს აარიდებს რუსეთთან და ჩინეთთან ომს, არმსტრონგის თქმით, **„კაპიტალი ევროპიდან აშშ-ში გადმოინაცვლებს“**. არმსტრონგი ამბობს, რომ თუ ტრამპი თავს აარიდებს ამ NATO/რუსეთის ომს, ის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო პრეზიდენტად შევა. იმედი ვიქონიოთ, რომ პრეზიდენტი ტრამპი ამ საკითხს ისე ხედავს, როგორც მარტინ არმსტრონგი.

# რობერტ ფიცო ევროკავშირის სიგიჟის წინააღმდეგ სლავური ფრონტის შექმნის იდეით გამოდის



## ევროპა თავის ხალხს უნდა ემსახუროს და არა ელიტას!

სლოვაკეთის პრემიერმინისტრი რობერტ ფიცო იწყებს იმას, რაც შეიძლება წლების განმავლობაში ევროკავშირის შიგნით ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცვლილებად იქცეს.

მან განცხადება გააკეთა ახალი ალიანსის ჩამოყალიბების შესახებ სლოვაკეთს, პოლონეთს, უნგრეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის – ეს ოთხი ცენტრალური ევროპის ქვეყანაა, რომლებსაც ღრმა კულტურული, ისტორიული და ეკონომიკური კავშირები აქვთ.

ალიანსის საშუალებით ფიცოს მიზანია შეაჩეროს ის, რასაც ბრიუსელის „სიგიჟეს“ უწოდებს.

რას გულისხმობს ფიცო „ევროკავშირის სიგიჟეში“–

სლოვაკეთის ლიდერი ამტკიცებს, რომ ევროკავშირმა დაკარგა კავშირი რეალობასთან.

მისი თქმით, ევროკავშირი აღარ არის თანამშრომლობაზე ორიენტირებული, არამედ ახლა ბრიუსელის მიზანი წევრი სახელმწიფოების კონტროლია, რომელიც აიძულებს ერებს დაემორჩილონ იმ იდეოლოგიურ და ეკონომიკურ ექსპერიმენტებს, რომლებიც ზიანს აყენებენ ევროპელ მოქალაქეებს.

ყველაზე შემაშფოთებელი პრობლემები, ფიცოს აზრით, შემდეგია:

- **მწვანე შეთანხმება და ETS2 გადასახადები** – ბრიუსელის ნახშირბადის ახალი სავაჭრო სისტემა საწვავს, ტრანსპორტს და გათბობას ჩვეულებრივი ადამიანებისთვის უფრო გააძვირებს;
- **მიგრაციის პაქტი** – ქვეყნებს, რომლებიც უარს ამბობენ მიგრანტების მიღებაზე, შესაძლოა მძიმე ფინანსური ჯარიმები დაეკისროთ;
- **გადაჭარბებული რეგულირება და სანქციები** – ევროკავშირის პოლიტიკა, რომელიც, ფიცოს სიტყვებით, „ევროპულ ინდუსტრიას იდეოლოგიის სახელით ანადგურებს“.

ფიცო ამას „სიგიჟის კავშირს“ უწოდებს – პოლიტიკას, რომელსაც ბრიუსელში კომფორტულად მცხოვრები არარჩეული ტექნოკრატები ახორციელებენ, მაშინ, როცა ევროპის მასშტაბით ოჯახები ინფლაციისა და ენერგიის მაღალი ფასების გამო იტანჯებიან.

ფიცოს მოწოდება „სლავური ფრონტის“ შექმნისკენ ანტიევროპული არ არის.

მას არ სურს ევროკავშირის დანგრევა – მას სურს მისი ხელახლა დაბალანსება.

„დროა, ცენტრალურმა ევროპამ თავისი ხალხი დაიცვას – და არა ბრიუსელის ბიუროკრატები“.

მისი გეგმაა ვიშეგრადის ქვეყნებს (სლოვაკეთი, პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი) შორის თანამშრომლობის აღორძინება და შემდეგი საკითხების წინ წამოწევა:

რეალისტური ენერგეტიკული პოლიტიკა

ეროვნული სუვერენიტეტის პატივისცემა

ადგილობრივი ინდუსტრიებისა და ტრადიციების დაცვა

იძულებითი იდეოლოგიური რეფორმების წინააღმდეგობა

ერთად, ეს ოთხი ქვეყანა 60 მილიონზე მეტ ადამიანს წარმოადგენს – უზარმაზარ ძალას ევროკავშირის შიგნით, რომელსაც შეუძლია შეცვალოს მისი მიმართულება.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი გლობალური თვალსაზრისით–

ათწლეულების განმავლობაში ბრიუსელში დასავლეთ ევროპული ხმები დომინირებდნენ – ძირითადად, გერმანია და საფრანგეთი.

ახლა სლავური და ცენტრალური ევროპის ქვეყნები ამბობენ, რომ მათაც აქვთ ხმის ამოღების უფლება.

**ეს მოძრაობა უფრო ფართო გლობალურ ტენდენციას ასახავს:**

- **ერები, რომლებიც იდეოლოგიას სუვერენიტეტს ამჯობინებენ;**
- **ეკონომიკები, რომლებიც გარემოსა და გადარჩენას შორის ბალანსს ეძებენ;**
- **კულტურები, რომლებიც იდენტობას ერთგვაროვნებისგან იცავენ;**

წარმატების შემთხვევაში, ფიცოს წინადადებას შეუძლია ევროპაში ძალაუფლების ახალი ცენტრი შექმნას – ისეთი, რომელიც რეალიზმის, რწმენისა და თავისუფლების სლავურ ღირებულებებზე იქნება დაფუძნებული.

**ოთხი ერი. ერთი გზავნილი: ევროპა თავის ხალხს უნდა ემსახუროს – და არა ელიტას!..**



# სამნი კვარცხლბეკზე

**იტალიის ქალაქ გალიპოლიში დასრულდა მსოფლიო ჩემპიონატი სენიორთა შორის, რომელიც ორ ასაკობრივ კატეგორიაში (+50 და +65) გაიმართა და 64 ქვეყნის 458 მოჭადრაკე მონაწილეობდა.**

ტურნირი შვეიცარული სისტემით, 11 ტურად ჩატარდა. მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზეს ქართველმა დიდოსტატებმა, რომლებმაც სამი მედალი მოიპოვეს.

+50 ასაკობრივ კატეგორიაში **მიხეილ კეკელიძემ** 11 ტურიდან 9 ქულით მეორე ადგილი დაიკავა.

+65 ასაკობრივ კატეგორიაში **ზურაბ სტურუამ** 8.5 ქულით I–VI ადგილები გაინაწილა, მაგრამ კონკურენტებს დამატებითი მაჩვენებლებით აჯობა და ვერცხლის მფლობელი გახდა.

+65 ასაკობრივ კატეგორიაში ქალთა შორის, ლეგენდარულმა **ნონა გაფრინდაშვილმა** 11-იდან 7,5 ქულა მოიპოვა და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

# პატივი დაგვდო

**ნოემბერში „ბორჯღალოსნები“ სამ შეხვედრას გამართავენ და სამივე ტესტ-მატჩს საკუთარი გულშემატკივრების წინაშე ჩაატარებენ.**

მოახლოებულ მატჩებთან დაკავშირებით საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რიჩარდ ქოქრილმა** ბორჯღალოსანთა 35 კაციანი გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა:

**შერკინება** – ნიკა აბულაძე, დავით აბდუშელიშვილი, გიორგი თეთრაშვილი, ირაკლი აფციაური, ლუკა ჯაფარიძე, ბექა გიგაშვილი, კახა დარბაიძე, ვანო კარკაძე, ირაკლი ქვათაძე, შალვა მამუკაშვილი, მიხეილ ბაბუნაშვილი, ვლადიმერ ჩაჩანიძე, დავით ეფრემიძე, თემურ წულუკიძე, ბექა გორგაძე, ბექა საღინაძე, ილია სპანდერაშვილი, ლუკა ივანიშვილი, სანდრო მამამთავრიშვილი, გაგა სინაურიძე.

**ხაზი** – ვასილ ლობჟანიძე, გელა აფრასიძე, თენგიზ პერანიძე, ლუკა მატკავა, თედო აბჟანდაძე, გიორგი კვესელაძე, დემე თაფლაძე, თორნიკე კახოიძე, გიორგი შველიძე, ზურაბ ლუტიძე, აკაკი ტაბუცაძე, ალექსანდრე თოდუა, შალვა აფციაური, ლუკა ცირეკიძე, დავით ნინიაშვილი.

* * *

**მარტყოფის რაგბის ბაზაზე 16-წლამდელ მორაგბეთა შორის 7-კაცა რაგბის ფესტივალი გაიმართა, რომელშიც მონაკო ორი, ხოლო საქართველო 4 გუნდით (აკადემია, ხარები, არმაზი, ამარანტები) იყო წარმოდგენილი.**

თამაშებს დაესწრო მონაკოს სამეფო ოჯახის წევრი, პრინცესა **შარლინ უოტსტოკი,** რომელიც ფესტივალს 10-კაციანი დელეგაციით სტუმრობდა. მას მარტყოფის ბაზაზე საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი **დავით კაჭარავა** მასპინძლობდა.

შეხვედრები ისე იყო გაწერილი, რომ ყველა ქართულ გუნდს მოუწია მონაკოელთა წინააღმდეგ თამაში. პარალელურად, ყველა მონაწილეს „წითელმა ჯვარმა“ მოედანზევე ჩაუტარა პირველადი სამედიცინო დახმარების სემინარი. პრინცესა შარლინი მოთამაშეებს პირადად მიესალმა, მათთან ერთად რაგბის ბურთით ითამაშა და შეხვედრის ბოლოს ჭაბუკ მორაგბეებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.



აღსანიშნავია, რომ მონაკოს 7-კაცას ვეტერანი ბორჯღალოსანი **დავით ბოლღაშვილი** წვრთნის. მარტყოფში შეკრებისა და თამაშების შემდეგ, ის 12 საუკეთესო მოთამაშეს შეარჩევს, რომლებიც დაახლოებით 1 თვეში დუბაის საერთაშორისო ტურნირზე ითამაშებენ.



# სატიტულო კილოგრამები

**ალბანეთში მიმდინარე 20-წლამდე ასაკის ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე ლევან ოჩიგავამ 88 კილოგრამ წონით კატეგორიაში სამი ოქროს მედალი მოიპოვა და კონტინენტის პირველობის რეკორდი დაამყარა.**

ოჩიგავამ ატაცში 154 კილოგრამი დასძლია, ამ მაჩვენებლით კი ევროპის ჩემპიონატზე პირველი ოქროს მედალი დაიმსახურა.

აკვრაში ქართველმა სპორტსმენმა 191 კილოგრამით კვლავ ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო ორჭიდში თავი 345 კილოგრამს მოუყარა, რითიც მესამე ოქროს მფლობელი გახდა. ასევე, აღნიშნული მაჩვენებლით ოჩიგავამ ევროპის რეკორდი დაამყარა – აქამდე 20-წლამდელთა შორის 345 კილოგრამი არავის დაუფიქსირებია.

საქართველოს ძალოსანთა ახალგაზრდული ნაკრები კონტინენტის პირველობაზე **ავთანდილ გახოკიძის** ხელმძღვანელობით ასპარეზობს.

# მიზანი – პოპულარიზაცია!

**ემზარ სალუქვაძის სახელობის სპორტულ არენაზე გაიმართა 2025 წლის შემოდგომის თასის ფინალური მატჩი ბეისბოლში. დაძაბულ შეხვედრაში „თბილისის აკადემიამ” „თბილისის მგლები” 4:2 დაამარცხა და შემოდგომის თასის მფლობელი გახდა.**

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 15 წლამდე ასაკის მოზარდებისგან შემდგარი 4 გუნდი: „თბილისის აკადემია“ „თბილისის მგლები“, „თბილისის ზღვა“ და „ბაქსვუდი“.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ „თბილისის აკადემიის“ გუნდის წევრი **გიორგი სოფრომაძე** დასახელდა.

ბეისბოლის და სოფტბოლის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის **ვახტანგ ნორაკიძის** განცხადებით, ფედერაციის მიზანია, მომდევნო ჩემპიონატებში უფრო მეტი გუნდი ჩაერთოს და სპორტის ეს სახეობა საქართველოში კიდევ უფრო პოპულარული გახდეს.

ტურნირი სპორტის სამინისტროს, კომპანია „სოკარისა“ და ბიზნესასოციაციის მხარდაჭერით ჩატარდა.



# კარგი ამბები

## შენგელიამ ბელგრადელი პარტიზანები დაბომბა

**სათაურმა არ შეგაშინოთ – მართალია, სისხლიანი წარსული არც ჩვენ გვაკლია და არც ბალკანელებს, მაგრამ ამჯერად სპორტულ აგრესიაზე ვსაუბრობთ, რომელშიც მთავარი დამრტყმელი ძალის როლი თორნიკე შენგალიამ შეასრულა.**

პარტიზანი – ბარსელონა 76:78

**შენგელია:** 24 ქულა, 5-5 მოხსნა და ასისტი.

გულშემატკივარს კარგად მოეხსენება, თუ როგორი რთულია სერბეთის დედაქალაქში არა თუ გამარჯვება, არამედ თამაშიც კი, რადგან მასპინძელთა ზეემოციურ ქომაგებს მათი ევროპულ საკლუბო კალათბურთში ყველაზე ტიტულოვანი მწვრთნელის **ჟელკო ობრადოვიჩის** ფაქტორიც ემატება, ამიტომ ორმაგად სასიხარულოა, რომ კატალონიური გრანდის ზედიზედ მეორე წარმატებაში გადამწყვეტი წვლილი საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა და ლიდერმა შეიტანა.

განსაკუთრებით ძლიერად 'თოკომოტივმა“ დასკვნითი მეოთხედი ჩაატარა, როცა საკუთარ თავზე აიღო შეტევების დაგვირგვინება და პარტნიორებს ხანგრძლივი დევნის შემდეგ დაწინაურებაში დაეხმარა, ზღაპრული ოქროს სამქულიანი კი ბოლო წამებზე თითქმის მოედნის ცენტრიდან ჩვენებურის ძველმა თანაგუნდელმა ცსკა-დან და ვირტუს ბოლონიადან **კლაიბერნმა** ჩააგდო.

ამ კვირაში შენგელია კარიერაში პირველ ელ კლასიკოს გამართავს – ბარსელონა – რეალი!

**ევროლიგის რეგულარული სეზონის სატურნირო ცხრილი 8 ტურის შემდეგ:** ჟალგირისი, ცრვენა ზვეზდა, ჰაპოელი – 6, პანათინაიკოსი, ვალენსია, მონაკო, ოლიმპიაკოსი, ბარსელონა – 5, პარიზი, რეალი, ვირტუსი, ბაიერნი – 4, ეფესი, პარტიზანი, მილანი, დუბაი, ფენერბახჩე – 3, ბასკონია, მაკაბი, ლიონი – 2 მოგება.

## კარპატებიდან – თასით!

**საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა „კარპატის თასზე“ მეორე მატჩი მასპინძელ რუმინეთთან ჩაატარა. შეხვედრა ბაია მარეს „ლასკერ პანეს“ სპორტკომპლექსში გაიმართა და ჩვენს გუნდს წარმატება ისევ მოეტანა 30:27 (პირველი სლოვაკეთთან – 31:28)..**



ორივე გუნდიდან საუკეთესო კვლავ **ნიკოლოზ კალანდაძე** იყო – 11 გოლი და 6 შედეგიანი პასი. ექვსი ბურთით მეორე შედეგი **ერეკლე არსენაშვილს** ჰქონდა.

მნიშვნელოვანი იყო **გიგი რუხაძის** ჩარევაც, რომელმაც 6 სეივი შეასრულა და ერთი გოლიც გაიტანა. გუნდის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა **მირიან გავაშელიშვილმა** – 5 გატანილი ბურთი და ერთი ასისტი. ასე რომ, წინა ტურნირის ვერცხლს ამჯერად კარპატის თასი მოვაყოლეთ!

## გენერალური რეპეტიცია

**ხვალ ჩემპიონთა ლიგაში ორი ტოპ-მატჩია: პარი სენ-ჟერმენი – ბაიერნი და ლივერპული – რეალი, რომლებსაც გარკვეულწილად ქართველ ლეგიონერებსაც ვუკავშირებთ, თუმცა არც მესამე წყვილი უნდა დავივიწყოთ, რომელსაც კვიპროსი უმასპინძლებს.**

გასული უქმეების აღსანიშნავ ფაქტს კი გერმანულ ბუნდესლიგაში გაზაფხულის შემდეგ **ბუდუ ზივზივაძის** მიერ გატანილი მონატრებული გოლი წარმოადგენს, რომელმაც ჰაიდენჰაიმს აინტრახტთან ძვირფასი ქულა მოუტანა – 1:1.

ახლა კი ელიტურ ტრიოს დავუბრუნდეთ.

**ინგლისის პრემიერლიგა.** ლივერპული – ასტონ ვილა 2:0. **გიორგი მამარდაშვილმა** რამდენჯერმე საიმედოდ ითამაშა და ახალ კლუბში პირველი მშრალი მატჩი ჩაატარა, მისმა გუნდმა კი ზედიზედ 4 მარცხის შემდეგ, როგორც იქნა, გაიმარჯვა.

**საფრანგეთის ლიგა – 1.** პარი სენ-ჟერმენი – ნიცა 1:0. თითქოს გული უგრძნობდაო, **ლუის ენრიკემ ხვიჩა კვარაცხელიას** ნდობა ამჯერად ბოლომდე გამოუცხადა და მანაც მე-6 დამატებულ წუთზე თავური ასისტით პარტნიორებს ლიდერობა შეუნარჩუნა.

**ლიგა 2.** რედ სტარი – სენტ ეტიენი 2:1. **ზურიკო დავითაშვილმა** ჯარიმა გაიტანა.

**ესპანეთის ლა ლიგა.** ვილიარეალი – რაიო ვალეკანო 4:0. ანგარიში **გიორგი მიქაუტაძის** ასისტით გაიხსნა, მეორე ტაიმში კი იგი დაასვენეს.

## ოქროს გდება

**ძიუდოში საქართველოს 23-წლამდელთა ნაკრების წევრმა, გიორგი ჯაბნიაშვილმა მოლდოვაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა.**

ქართველმა სპორტსმენმა ფინალში მასპინძელი მიხალ ლატიშევი დამატებით დროში დაამარცხა. ოთხმა წუთმა ისე ჩაიარა, მეტოქეებმა გდება ვერ შეასრულეს.



დაინიშნა დამატებითი დრო, რომლის მე-18 წამზე ჯაბნიაშვილმა მეტოქე კონტრილეთზე დაიჭირა და ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საქართველოს ოქროს მედალი მოუტანა.

**გუშინ: ჯვაროსნებმა გუნდურ ტურნირშიც ოქრო მოიპოვეს!**

# მომავალი მათია!

**სომხეთის დედაქალაქ ერევანში გაიმართა ყოველწლიური XVI საერთაშორისო ტურნირი კარატეში სახელწოდებით Yerevan open, რომელშიც მსოფლიოს 10 ქვეყნის 1000-მდე სპორტსმენს შორის საქართველოს შოტოკან კარატეს კონფედერაციის გუნდმაც წარმატებით მიიღო მონაწილეობა.**

ეს შეჯიბრი სომხეთის კარატეს კონფედერაციის ორგანიზებით **WSKF**-ის (მსოფლიოს შოტოკან კარატეს ფედერაცია) წესებით გაიმართა.

ინდივიდუალურ კუმიტეში ოქროს მედალი მოიპოვა 13 წლის **ანდრია საათაშვილმა**, რომელიც წლების განმავლობაში ღირსეულად ასპარეზობს საერთაშორისო ტურნირებზე და მოპოვებული აქვს ყველა სინჯის ჯილდო. ვერცხლი აიღო 14 წლის **ბაჩუკი ჩიტუნაშვილმა**, რომელიც ასევე სტაბილურად წარმატებით გამოდის სხვადასხვა ჩემპიონატებზე.



მათი უფროსი მწვრთნელია **ჭაბუკა მახარაძე,** რომელიც არის მსოფლიოს ოთხგზის და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, ასევე მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და წარმატებული ინსტრუქტორი, შავი ქამრის V დანის მფლობელი, საქართველოს შოტოკან კარატე კონფედერაციის უფროსი ინსტრუქტორი.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „გაზის“ საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „გაზი“ (ს/ნ 404884265), თბილისი, საბურთალოს რაიონი, ზ. ფანასკერტელის ქ., კორპ. N19, ბინა N10

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ზესტაფონის რაიონი, სოფელი არგვეთა (საკადასტრო კოდი: 32.03.49.769)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 136465.75 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 3 ნოემბერი, 12:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 14 ნოემბერი, 12:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP117382025;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1173820

**6. მოვალეები:**
შპს ელსერვისმშენი (ს/კ 430043366), ქ. ზესტაფონი, შალვა ღამბაშიძის ქ. N3;
ბეჟან მაჭავარიანი (პ/ნ 18001015081), ქ. ზესტაფონი, შალვა ღამბაშიძის ქ. N3.

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“, ანგარიშის ნომერი **GE02ZB0000003608003964**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP117382025; ლოტის ნომერი: 1173820).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 14 ნოემბრის 10:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გაგა ნებიერიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გაგა ნებიერიძე (პ/ნ 18001059824), ზესტაფონი, რუსთაველის ქუჩა 10, ბინა 35

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ქ. ზესტაფონი, სტაროსელსკის ქუჩა 11 (საკადასტრო კოდი: 32.10.46.078)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 118857.26 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 3 ნოემბერი, 12:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 14 ნოემბერი, 15:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP117398025;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1173980

**6. მოვალეები:**
შპს ელსერვისმშენი (ს/კ 430043366), ქ. ზესტაფონი, შალვა ღამბაშიძის ქ. N3;
ბეჟან მაჭავარიანი (პ/ნ 18001015081), ქ. ზესტაფონი, შალვა ღამბაშიძის ქ. N3.

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“, ანგარიშის ნომერი **GE02ZB0000003608003964**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP117398025; ლოტის ნომერი: 1173980).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 14 ნოემბრის 10:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ალექსანდრე ვარდოსანიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ალექსანდრე ვარდოსანიძე (პ/ნ 01017024274), თბილისი, იაკობ ნიკოლაძის 6, ბინა 7

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ზესტაფონის რაიონი, სოფელი არგვეთა (საკადასტრო კოდი: 71.56.18.199)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 136465.75 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 3 ნოემბერი, 12:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 14 ნოემბერი, 13:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP117391125;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1173911

**6. მოვალეები:**
შპს ელსერვისმშენი (ს/კ 430043366), ქ. ზესტაფონი, შალვა ღამბაშიძის ქ. N3;
ბეჟან მაჭავარიანი (პ/ნ 18001015081), ქ. ზესტაფონი, შალვა ღამბაშიძის ქ. N3.

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“, ანგარიშის ნომერი **GE02ZB0000003608003964**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP117391125; ლოტის ნომერი: 1173911).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 14 ნოემბრის 10:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გაგა ნებიერიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გაგა ნებიერიძე (პ/ნ 18001059824), ზესტაფონი, რუსთაველის ქუჩა 10, ბინა 35

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ქ. ზესტაფონი, სტაროსელსკის ქუჩა 11 (საკადასტრო კოდი: 32.10.46.077)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 88042.41 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 3 ნოემბერი, 12:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 14 ნოემბერი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP117392725;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1173927

**6. მოვალეები:**
შპს ელსერვისმშენი (ს/კ 430043366), ქ. ზესტაფონი, შალვა ღამბაშიძის ქ. N3;
ბეჟან მაჭავარიანი (პ/ნ 18001015081), ქ. ზესტაფონი, შალვა ღამბაშიძის ქ. N3.

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“, ანგარიშის ნომერი **GE02ZB0000003608003964**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP117392725; ლოტის ნომერი: 1173927).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 14 ნოემბრის 10:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306¹6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თინათინ არაბიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თინათინ არაბიძე (პ/ნ 18001026236), ზესტაფონი, ვასილ ბარნოვის ქუჩა N34

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ბორჯომის რაიონი, დვირი, სოფელი დვირი (მანდია) (საკადასტრო კოდი: 64.29.01.232)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 48423.33 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 3 ნოემბერი, 12:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 14 ნოემბერი, 17:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის **N71271HZP117398625**;
აუქციონის ნომერი: 71271    ლოტის ნომერი: 1173986

**6. მოვალეები:**
შპს ელსერვისმშენი (ს/კ 430043366), ქ. ზესტაფონი, შალვა ღამბაშიძის ქ. N3;
ბეჟან მაჭავარიანი (პ/ნ 18001015081), ქ. ზესტაფონი, შალვა ღამბაშიძის ქ. N3.

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“, ანგარიშის ნომერი **GE02ZB0000003608003964**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის **N71271HZP117398625**; ლოტის ნომერი: 1173986).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 14 ნოემბრის 10:00 საათამდე.

---

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306¹6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს სალომე არაბიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** სალომე არაბიძე (პ/ნ 01027087188), თბილისი, ვარკეთილი 3-ის დასახლება, I მიკრო/რაიონი, კორპუსი 7ა, ბინა 53

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** თეთრიწყაროს რაიონი, სოფელი თონეთი (საკადასტრო კოდი: 84.19.34.228)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 30814.84 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 3 ნოემბერი, 12:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 14 ნოემბერი, 16:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის **N71271HZP117398225**;
აუქციონის ნომერი: 71271    ლოტის ნომერი: 1173982

**6. მოვალეები:**
შპს ელსერვისმშენი (ს/კ 430043366), ქ. ზესტაფონი, შალვა ღამბაშიძის ქ. N3;
ბეჟან მაჭავარიანი (პ/ნ 18001015081), ქ. ზესტაფონი, შალვა ღამბაშიძის ქ. N3.

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“, ანგარიშის ნომერი **GE02ZB0000003608003964**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის **N71271HZP117398225**; ლოტის ნომერი: 1173982).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 14 ნოემბრის 10:00 საათამდე.

---

## სანთელი

**იური, რუსიკო, გუგა, კოკი ოსიპოვ-ჯავჯანიძეები და ვლადიმერ გენიაშვილის ოჯახები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**



# რესან კონცელიძე

**რესანი იყო უნიჭიერესი ადამიანი და ხელმძღვანელი, საქართველოსთვის ბევრი კარგი საქმის მკეთებელი, ნათელში ამყოფოს მისი სული.**

---

**გივი შუღაროვი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი, გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მეგობრობის და ადამიანობის ეტალონი**

# რესან კონცელიძე

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

# საქართველოს ორმა მოქალაქემ კვიპროსში ცნობილი ბიზნესმენი მოკლეს

**საქართველოს ორი მოქალაქე ამჟამად სალონიკში, საექსტრადიციო პატიმრობაში იმყოფება. ეთნიკურად ბერძენი და საქართველოდან ემიგრირებული ბრალდებულები ცნობილი კვიპროსელი ბიზნესმენის, 49 წლის სტავროს დემოსთენოსის მკვლელობისთვის, საბერძნეთში დააკავეს.**

გამოძიების ინფორმაციით, „კარმიოტისას" საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტს ლიმასოლში, ცეცხლსასროლი იარაღებით იმ დროს დაესხნენ თავს, როდესაც ის სახლის მიმართულებით 18 წლის შვილთან ერთად გადაადგილდებოდა. თავდამსხმელები ადგილიდან ჯერ მოტოციკლით გაიქცნენ, შემდეგ კი გზა ფურგონის ტიპის ავტომობილით განაგრძეს, რომელიც სამართალდამცველებმა დამწვარი იპოვეს. დანაშაულის შემდეგ, ორივე თავდამსხმელმა კვიპროსი საბერძნეთის მიმართულებით დატოვა.

ადგილობრივი მედია დანაშაულს საბერძნეთსა და კვიპროსში მოქმედ დაჯგუფებას უკავშირებს, რომელსაც საქართველოდან ემიგრირებული კრიმინალი, მეტსახელად „ენტიკი" ხელმძღვანელობს. გამოძიების ვერსიით, ამ დაჯგუფების ანგარიშზე უკვე არაერთი შეკვეთილი მკვლელობაა.

**ცნობილი ბიზნესმენის მკვლელობისთვის საქართველოს ორი მოქალაქის დაკავებას კვიპროსის იუსტიციის მინისტრიც გამოეხმაურა. მან გამოთქვა იმედი, რომ, საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგად, გამოძიება დამკვეთების დაკავებასაც შეძლებს.**

---


# ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს
# განცხადება

გაცნობებთ, რომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების მიზნით ახორციელებს 500 კვ „ლაჯანური-წყალტუბო, ლაჯანური- ლაჯანური“ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტს. პროექტი განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა და მიზნად ისახავს რეგიონში ელექტრომომარაგების გაზრდას და ერთიანი ენერგოსისტემის მდგრადობის გაუმჯობესებას.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ გუმბრაში შპს „მაქს კაპიტალი“-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნაწილი ექცევა პროექტის ზემოქმედების არეალში – ხაზის დაცვის ზონაში, კერძოდ, უძრავი ქონებიდან მდებარე: წყალტუბოს რაიონი, სოფელი გუმბრა (ს/კ 29.09.46.283) 48097 კვ.მ-დან ეგხ ანძის განთავსებისთვის, შესასყიდი ფართი შეადგენს **164** კვ.მ-ს, ხოლო უძრავი ქონებიდან მდებარე: წყალტუბოს რაიონი, სოფელი გუმბრა (ს/კ 29.09.46.265) 16 700 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან ეგხ ანძის განთავსებისთვის შესასყიდი ფართი შეადგენს **315** კვ.მ-ს.

შესაბამისი უფლების მოპოვების სანაცვლოდ განსახლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია კომპენსაცია. შესაბამისად, სამართლიანი კომპენსაციის ანაზღაურების სანაცვლოდ, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ გიწვევთ მოლაპარაკებისთვის.

გთხოვთ, საგაზეთო პუბლიკაციის გამოქვეყნებიდან 5 დღეში გვაცნობოთ თქვენი პოზიცია ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ეგხ-ს ზემოქმედების არეალში მოქცეულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე, ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით მიმართავს კომპეტენტურ ორგანოს.

წერილი რედაქციას

# გმადლობთ, ჩემო მკურნალებო!

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გონიერ მკითხველს გულწრფელად უნდა გავუზიარო ჩემი შთაბეჭდილება თბილისის მე-8 მრავალპროფილური საავადმყოფოს შესანიშნავი მედპერსონალის შესახებ.**

საშუალო ასაკს გადაცილებული მამაკაცისთვის დამახასიათებელი პრობლემების გამო დედაქალაქის სხვა კლინიკებშიც მიმკურნალია, მაგრამ ასეთი გამორჩეული ყურადღება, მაღალი პროფესიონალიზმი და ადამიანური სითბო არსად მიგრძვნია. რა თქმა უნდა, გულითად მადლობას მოვახსენებ მე-8 კლინიკის უროლოგიური განყოფილების (დეპარტამენტის) ხელმძღვანელს, ბატონ **გიორგი ქოჩიაშვილს,** ქირურგებს – **კახა ქვილორიას, გიორგი ჩაბრაძე** და **ირაკლი ფხალაძეს,** ექთნებს **ხათუნა კელაპტრიშვილს, ნათია ბენიას** და სხვებს... ისინი დღე და ღამეს ასწორებენ ნებისმიერი ავადმყოფის გადასარჩენად, მრავალ განკურნებულთა შორის, მეც უზომოდ მადლიერი ვარ, რომ ამ შესანიშნავმა მედპერსონალმა სიცოცხლე შემინარჩუნა და ერთ დროს უშიშარი, ჯან-ღონით სავსე კაცი ნაადრევი სიკვდილის შიშისგან მიხსნა.

ხანში შესულ მამაკაცებს კი მინდა შევახსენო, რომ, ვისაც უროლოგიური პრობლემები აწუხებს, არ დააყოვნონ და ოპერატიულად მიმართონ თბილისის მერვე საავადმყოფოს შესაბამის განყოფილებას. აქ თქვენ აუცილებლად გამოგაჯანმრთელებენ!

პატივისცემით,

**ავთო ჭკადუა,**

შრომისა და ომის ვეტერანი




# „ასვლა“ – გურამ წიბახაშვილის გამოფენა

**თბილისის ფოტოგრაფიისა და მულტიმედიის მუზეუმი გურამ წიბახაშვილის გამოფენას – „ასვლა“ უმასპინძლებს.**

ორგანიზატორების ინფორმაციით, გამოფენა ავტორის მიერ, 1988-2016 წლების შუალედში შექმნილ დოკუმენტურ და კონცეპტუალურ ნამუშევრებს აერთიანებს და ფეხდაფეხ მიყვება საქართველოს უახლოეს ისტორიას. ალბათ იმიტომ, რომ ისტორია ხშირად იმეორებს საკუთარ თავს, გურამის ნამუშევრები ხანდახან დროის ჩარჩოსაც ცდება და ეხება წარსულს, რომელსაც არ მოსწრებია და მომავალს, რომელიც ჯერ არ დამდგარა.

გამოფენა 4 ნოემბერს, 19:00 საათზე გაიხსნება და სამი თვის განმავლობაში გასტანს.

**მისამართი: თბილისის ფოტოგრაფიის & მულტიმედიის მუზეუმი, მ. კოსტავას ქ. 14, სასტუმრო „სტამბა”, დ ბლოკი, მეორე სართული.**



# საერთაშორისო ველოშეჯიბრი კახეთში

**ველოტურიზმი არა მხოლოდ ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას უწყობს ხელს, არამედ ქმნის ხელსაყრელ გარემოს ადგილობრივი ტურიზმის და, შესაბამისად, ეკონომიკის განვითარებისთვის,** – ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა **დავით სონღულაშვილმა** ველოშეჯიბრის გახსნის ღონისძიებაზე განაცხადა.

**„განსაკუთრებით საინტერესოა, როდესაც ღვინის ტრადიციული მარნები მხარს უჭერენ ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. ამ გზით ხდება, ერთი მხრივ, რეგიონისთვის მნიშვნელოვანი პროექტების განვითარება, ხოლო მეორე მხრივ, კერძო სექტორის სოციალური პასუხისმგებლობის წარმოჩენა“.**

„შატო ზეგაანის“ ინიციატივით გამართული საერთაშორისო ველოშეჯიბრი მიზნად ისახავს საქართველოში ველოტურიზმის განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისებას და ღვინის კულტურის პოპულარიზაციას სპორტული აქტივობის გზით, რაც ხელს უწყობს კახეთის რეგიონის ტურისტული და ეკონომიკური პოტენციალის ზრდას. მსგავსი პრაქტიკა ფართოდ არის დანერგილი ევროპის წამყვან ღვინის რეგიონებში.



# „ყვავილების გამოფენა“ – ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში

**საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ორგანიზებით, პირველ და 2 ნოემბერს ტრადიციად ქცეული ღონისძიება – „ყვავილების გამოფენა“ გაიმართა.**

გამოფენაზე ეროვნული ბოტანიკური ბაღის კოლექციიდან ქრიზანთემების 150-ზე მეტი ჯიში, შემოდგომის ყვავილების მრავალფეროვნება, თბილისსა და რეგიონებში არსებული სანერგე მეურნეობების პროდუქცია იქნა წარმოდგენილი.

დამთვალიერებელს ქრიზანთემებისა და ტროპიკული ორანჟერეის მცენარეების, საშემოდგომო გვირგვინებისა და ხელნაკეთი ნივთების შეძენის შესაძლებლობაც ჰქონდათ. „ყვავილების გამოფენაზე“ თანამედროვე მხატვრების თემატური ნახატების, ეპოქსიდით შექმნილი ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, საშემოდგომო გვირგვინებისა და თიხით ძერწვის მასტერკლასი გაიმართა.

ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში „ყვავილების გამოფენაზე“ ვიზიტორებს ყოველწლიურად განახლებული კოლექციების დათვალიერების შესაძლებლობა აქვთ.

# ქართული კულტურული მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი პავილიონი სამარყანდში

**იუნესკოს გენერალური კონფერენციის 43-ე სესიის ფარგლებში, ქალაქ სამარყანდში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით გაიხსნა ქართული პავილიონი, რომელიც ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას მიეძღვნა.**



აღნიშნულთან დაკავშირებით ქართული პოლიფონიური მუსიკის თანხლებით მიღება გაიმართა.

მიღება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა **მაკა ბოჭორიშვილმა** გახსნა. სიტყვით გამოსვლისას მან საქართველოს მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობაზე, ღვინის დაყენების 8 000-წლიან ტრადიციასა და ქართული პოლიფონიური მუსიკის უნიკალურობაზე ისაუბრა. როგორც დიპლომატიური უწყების ხელმძღვანელმა აღნიშნა, ქართული ღვინო და პოლიფონიური სიმღერა იუნესკოს მიერ აღიარებულია, როგორც კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი და საქართველო ამაყობს, რომ ღვინის სამშობლოა.

მაკა ბოჭორიშვილმა მადლობა გადაუხადა უზბეკ კოლეგას მხარდაჭერისთვის, გულთბილი მასპინძლობისთვის და საქართველოსა და უზბეკეთს შორის არსებულ მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობებს გაუსვა ხაზი.

# „ქართული ენის ხათრით“...

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კიტა ჩხენკელის წერილების კრებულის წარდგენა გაიმართა.**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ მონაწილეობა მიიღო შვეიცარიაში მოღვაწე ქართველი ენათმეცნიერისა და ლექსიკოლოგის, კიტა ჩხენკელის წერილების კრებულის – „ქართული ენის ხათრით“ – პრეზენტაციაში.

**„წიგნში თავმოყრილი წერილები გვიყვება იმდროინდელი საქართველოს, ემიგრაციისა და კულტურული დიალოგის შესახებ. ეს გამოცემა საშუალებას გვაძლევს, უკეთ გავიცნოთ კიტა ჩხენკელის მოღვაწეობა და მისი წვლილი ქართველოლოგიის განვითარებაში“,** – აღნიშნა თსუ რექტორმა.

კრებული მოამზადა თსუ ბიბლიოთეკამ, 2018 წელს უნივერსიტეტს გადაცემული ჩხენკელების პირადი არქივის საფუძველზე. არქივში დაცულია როგორც აკაკი ჩხენკელის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის, ასევე მისი ძმის – კიტა ჩხენკელის – დოკუმენტური მემკვიდრეობა. კიტა ჩხენკელი იმ ახალგაზრდებს შორის იყო, ვინც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ევროპაში განათლების მისაღებად გაემგზავრა. 1936 წელს ჰამბურგის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ხოლო მოგვიანებით შვეიცარიაში, ციურიხის უნივერსიტეტში გამოსცა ქართული ენის სახელმძღვანელო და ლექსიკონი.




საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**

**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 5 ნოემბერს**